პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 2 ივლისი, 1949 წ. № 130 (8433). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პირველი მცნება — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
მ. ციხისთავი — ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად (მე-2 გვერდი).
ვამრავლოთ პროდუქციის ხარისხისათვის მებრძოლთა რიგები (მე-2 გვერდი).
სანიმუშოდ მომზადებული შევხვდეთ პურეულის მკას (მე-2 გვერდი).
დისერტაციის დაცვა მილიონერ კოლმეურნეობაში (მე-3 გვერდი).
პასუხი შეკითხვებზე — სამხედრო-პოლიტიკური მღვნობა-რეობა ჩინეთში (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პირველი მცნება

მოსავლის აღებისა და ლეწვის სამუშაოებთან ერთად დაიწყო პურის დამზადება. სახელმწიფო მიმღები პუნქტებისაკენ დაიძრა ახალი მოსავლის მარცვლეული. პურის დამზადების გეგმის შესრულება დიდმნიშვნელოვანი საქმეა. დიდი სტალინი გვასწავლის: „...ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დაიჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნებაა პურის დამზადების გეგმის შესრულება“.

სოფლად ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესასრულებლად. შეჯიბრების მიზანი ის არის, რომ თანდათანობით გავაძლიეროთ პურის დამზადების ტემპი, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ყოველდღიურად მონაწილეობდეს პურის ჩაბარებაში, ვიდრე მთლიანად არ შესრულდება დამზადების სახელმწიფო გეგმა. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ შეჯიბრებას და ფართოდ გაიაღონ მოძრაობა პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

„1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: პარტიულმა, საბჭოთა და დამამზადებელმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მარცვლეულისა და ზეთოვან კულტურათა თესლის პირველი პარტიებიდან უზრუნველყონ პირველ რიგში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული სესხის, აგრეთვე სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოთა ნატურანაზღაურების დარგში კოლმეურნეობათა წარსული წლების დავალიანების დაფარვა.

მტს-ების დირექტორებს სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფოს წინაშე მტს-ის სამუშაოთა ნატურანაზღაურების სწორად დარიცხვისა და სრულად განაღდებისათვის.

დამამზადებელი ორგანიზაციები შარშანდელზე უკეთესად მომზადებული ხვდებიან პურეულის ახალ მოსავალს. მიმღებ პუნქტებში სამუშაოდ შერჩეულია კვალიფიციური კადრები, გადიდდა საწყობების ტევადობა. მაგრამ მოსავლის აღებისა და პურის დამზადების პირველი შედეგები მოწმობენ, რომ ზოგან ჯერ კიდევ ვხვდებით ნაკლოვანებებს. ამ ნაკლოვანებებზე ნათქვამი იყო სიონაღის რაიონში მოწყობილი „კომუნისტის“ სპეციალური რეიდის მასალებში, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა. საჭიროა სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და უზრუნველყოთ დამამზადებელი აპარატის სანიმუშო მუშაობა.

პურის დამზადებისათვის ბრძოლის ფრონტზე მნიშვნელოვან უბანს ლეწვა წარმოადგენს. არ უნდა დავაგვიანოთ მარტივი მანქანებითა და ხელით მომკილი პურეულის გალეწვა, სრული ნაყოფიერებით გამოვიყენოთ სალეწი მანქანები. პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ, რომ მოსავლის აღებაზე, გალეწვასა და პურის გადაზიდვაზე მომუშავე თვითეული კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა და მტს-ის მუშაკი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს.

პურის დამზადების დაჩქარება ბევრად არის დამოკიდებული საკოლმეურნეო სატრანსპორტო ბრიგადების კარგ მუშაობაზე. სწრაფად უნდა მოხდეს მარცვლეულის გატანა კალოებიდან სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში. საჭიროა თვითეულ სატრანსპორტო ბრიგადას მიეცეს მარცვლეულის დატვირთვის, გამოზიდვისა და გადმოტვირთვის ზუსტი დავალებანი.

სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ პურის დამზადების გეგმა შესრულდეს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ჩაბარდეს საუკეთესო ხარისხის მარცვლეული. მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მარცვლეულის გალეწვის, დახარისხებისა და გაშრობის მოწყობა ამინდის ყოველგვარ პირობებში. ამ მიზნით აუცილებელია თვითეულმა კოლმეურნეობამ დროულად მოაწყოს გადახურული კალო, ფარდული, მარცვლეულის საშრობი. შეუფერხებლად უნდა მუშაობდნენ მარცვლის დამხარისხებელი მანქანები.

პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „საჭიროა ფართოდ განემარტოს კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომ თვითეული კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის მიერ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებას უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განაღდებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“.

— მთელი მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ!

— პირველი განალეწი მაღალხარისხოვანი მარცვლეული სახელმწიფოს!— ამ ლოზუნგით უნდა გაიჩაღონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა, აგიტატორებმა. საჭიროა კოლმეურნეობათა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად ადევნონ თვალყური პურის დამზადების გეგმის შესრულების მიმდინარეობას და მიიღონ საჭირო ზომები ყოველდღიური ჩაბარების მოწყობისათვის. თუ კოლმეურნეობამ დაარღვია პურის დამზადების გრაფიკი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიონ საქმეში და გამოასწორონ მდგომარეობა.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა უახლოესი 8-10 წლის განმავლობაში პურის დამზადების ერთისამად მაინც გადიდება 1948 წელთან შედარებით, რათა რესპუბლიკის მოსახლეობა ძირითადად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი პურით. მიმდინარე წელს პურის დამზადების ორგანიზებულად ჩატარება მნიშვნელოვნად დაეხმარება პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მათს წინაშე დასახული ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში.

ირანის ელჩმა ბ-ნმა ნ. არასტემ რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს

29 ივნისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა მიიღო ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. არასტე, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ბ-ნ ნ. არასტეს თან ახლდნენ საელჩოს მრჩევლები ბ-ნები ი. მეჯდი, ა. დოვლეთშაჰი და გ. ხეჯაზი, საელჩოს მეორე მდივანი ბ-ნი ა. მირფენდერესკი, საელჩოს მესამე მდივანი ბ-ნი ახზარი და საელჩოს ატაშე ბ-ნი რადმირი, რომლებიც ელჩმა ნ. მ. შვერნიკს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ი. ნ. ბაკულინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმასრულებელი პ. ა. ბუშუევი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ნ. მ. შვერნიკი ესაუბრა ბ-ნ ნ. არასტეს. საუბარში მონაწილეობა მიიღო ა. ა. გრომიკომ. (საკდესი).

თათრულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის ნაწარმოები „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“

ყაზანი, 29 ივნისი. (საკდესი). თათრეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ვ. ი. ლენინის ნაწარმოები „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომელიც პირველად ითარგმნა თათრულ ენაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში

ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მწოწინავე ჩაის მკრეფავი ნორა ჭოკიშვილი, რომელმაც 0,5 სტანანოვური ნაკვეთზე უკვე მოკრიფა 2.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ფოტო რ. აკოფოვისა

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

გურჯაანელი

გუშინ, 1 ივლისს, სამგორის სახალხო მშენებლობაზე ჩამოვიდნენ კახეთის შიდა, ცენტრალური რაიონის — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეები.

გურჯაანელნი ჩამოვიდნენ სამგორის ველზე, რათა თავიანთი შრომითი წვლილით გაემდიდრებინათ სამგორელთა წარმატებები, დაეჩქარებინათ მოწყურებულ ველზე წყლის გამოყვანა. ჩამოსულთა შორის იყვნენ ზემო-გურჯაანის, კალაურის, შრომის, ბაკურციხის, ბერემის, ვეჯინის და თვით ქალაქ გურჯაანის მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები. ექვსი სასოფლო და ერთი საქალაქო საბჭოდან წარმოგზავნეს გურჯაანელებმა სამგორის მშენებლობაზე 950 მშენებელი.

ისინი ერთბაშად მოვიდნენ და ხევს შეეფარნენ. წინათაც, მრავალ საუკუნეთა წინათაც იყო თურმე სამგორის ველზე ასეთი შემთხვევა: მოვიდა უცხო ხალხი, ხევში ჩასაფრდა და როგორც კი ეს გაიგეს პატარა ლილოელებმა, მუსვე თავისიანებს აუწყეს—მტერი ხევში ჩასაფრდაო და ამის შემდეგ ხალხმა ამ ხევს უწოდა „თათრიხევი“.

ამ თათრიხევში ახლა გურჯაანელები არიან ჩასაფრებული გვალვის და ბუნების სიფიცხეს წინააღმდეგ საბრძოლველად, არხი გაპყავთ რათა სიცოცხლე დაუბრუნონ ერთდროს აყავებულ, მაგრამ შემდგომ სიცოცხლედაკარგულ მშობლიურ მიწას. ძნელია იმის თქმა, თუ ვინ მეტი მონდომებით, მეტი თავდადებითა და ენთუზიაზმით მუშაობს სამგორის მიწის გასაცოცხლებლად — ქართელი, გარე-კახელი, შიდა-კახელი, ბოლნისელი, თუ თეთრწყაროელი კოლმეურნე.

გურჯაანელ მშენებელთა ხელმძღვანელი და მათი რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ადამ ჩიგილაშვილი განცვიფრებული დარჩენილა 30 ივნისს საღამოს:

ხალხს გამოუცხადეს — მივდივართ სამგორის ველზე სამუშაოთო და უთვალავი მსურველი გამოცხადდა. ვერავითარი მატარებელი ვერ დაიტევდა ყველას. ხელისუფლების წარმომადგენელს მოუხდა თვითონ ჩარევა საქმეში, 900 საუკეთესო ვაუკაცი შეარჩია. გურჯაანის რკინიგზის სადგურის პერონი უართქმული კოლმეურნეებით სავსე დასტოცა მატარებელმა. ნაკი მარჯვენის წვლილიც გვინდა შევიტანოთ სამგორის მშენებლობაშია, ბუზღუნობდნენ, მატარებელს დარჩენილი კოლმეურნეები და მეორე დილით 50 კაცი გურჯაანიდან დამატებით გამოეცხადა სამგორამშენის მეორე უბნის მთავარ ინჟინერს ირაკლი თვალაძეს — ერთობ გვეწყინა, გუშინ დაგვტოვეს, დღეს საკუთარი ტრანსპორტით მოვედით, გთხოვთ სამუშაო გამოგვიყოთო.

ასეთი ენთუზიაზმით, ასეთი აღფრთოვანებით ჯერ არავინ მოსულა ამ ხევში. გურჯაანელებმა 1.200 მეტრზე გაშალეს სამუშაოთა ფრონტი. ყოველმხრივ მზადმყოფნი ჩამოვიდნენ ისინი სამგორზე. მთელი თვენახევრის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ თურმე სხვა რაიონებიდან ჩამოსულთა მუშაობის აღწერას, რაც გაზეთებში ქვეყნდებოდა და ისე მოაწყვეს საქმე, რომ ყველაზე მეტი წარმატებით შეესრულებინათ ნაკისრი სამუშაო, 9.000 კუბმეტრი მიწა ამოეღოთ არხის კალაპოტიდან არა 10 დღეში, არც 5 დღეში, არამედ —2 დღეში. 1 ივლისს გარიჟრაჟზე შეუდგნენ ისინი მუშაობას და იმავე დღის საღამოსათვის 4.500 კუბმეტრზე მეტი მიწა ჰქონდათ ამოღებული.

შრომის ასეთი მაღალი ნაყოფიერება ჯერ არავის უჩვენებია ზემო-სამგორის მაგისტრალური არხის გაყვანაზეო, ამბობდა ინჟინერი ს. ანდრონიკაშვილი და თვითონვე განმარტავდა,—ეს იმიტომ, რომ გურჯაანელები ორგანიზებულად, წინასწარ კარგად მომზადებულნი შეუდგნენ საქმესო.

ისიც კი გაუთვალისწინებიათ გურჯაანელ ინჟინრებს დათა ზარდიაშვილს, ალექსი პიტიურიშვილს, ა. ბადურიშვილს და ა. კალატოზიშვილს, რომ ახლა მთვარე გვიან ამოდის, ხოლო დროის დაკარგვა დაუშვებელია და ამიტომ მოძრავი ელექტრო-აგრეგატები წამოუღიათ, რათა ღამით, როცა სინათლე არ კმარა, არხის კალაპოტი ავტომობილზე მოწყობილი აგრეგატით გაეშუქებინათ.

ინჟინრებს გარდა გურჯაანელ მშენებლებს ექიმებიც გამოაყვნენ სამედიცინო პერსონალის სათანადო შტატითა და საველე მომსახურებისათვის საჭირო ყოველგვარი მოწყობილობით. აქ არიან ორი ექიმი—ვანო ლუაშვილი და გიორგი ფხაკაშვილი და სამი მათი თანაშემწე.

ორი, ბევრი-ბევრი სამი დღით დავრჩებით აქო, ამბობენ გურჯაანელები. ნაკისრი სამუშაო ისე უნდა დავამთავროთ, ამბობენ ისინი, რომ ორშაბათს სახლში ვიყოთო.

— რა გეჩქარებათ?

— ორშაბათიდან პურის მასობრივი მკა იწყება, ვენახებიც შესაწამლია. ხორბლეულის, ყურძნის, სიმინდის დიდებულ მოსავალს მოველით, ამიტომ გვეჩქარებაო.

ვინც სამგორზე ადრე დამთავრებს ნაკისრ სამუშაოს, ის კოლმეურნეობაშიც ადრე დაბრუნდება და მკაში არ ჩამორჩება. ამიტომაა, რომ გურჯაანელი კოლმეურნეები სამგორის არხის გაყვანაში განსაკუთრებული დაძაბულობით ეჯიბრებიან ერთმეორეს. ვინ არის ამ შეჯიბრებაში მოწინავე, ამის თქმა ყველას ეძნელება. ყველანი კარგად მუშაობენ, ყველანი თავდადებულნი არიან, მაგრამ ციფრები მაინც იძლევიან განსხვავებას.

სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობიდან გამოსულებს ჯერჯერობით ვერავინ ჯობნის. ამ კოლმეურნეობის წევრთა ჯგუფს მათივე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლადო ოსოშვილი ხელმძღვანელობს. მერგოლურები სერგო მირველაშვილი, დათა დათუაშვილი, ვანო და დავით კუტიბაშვილები, ნიკო ოსოშვილი, მშენებელთა მოწინავე რიგებში არიან.

კარგად მუშაობენ სოფელ ზემო-გურჯაანის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ილო გუგულაშვილი), ველისციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. ტატიაშვილი) და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების კოლმეურნეები.

შრომითი თავდადების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან სოფელ შაშიანის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობიდან (თავმჯდომარე სოლიკო კანაშვილი) გამოსული მშენებლები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან სტახანოველი კოლმეურნეები ვანო ბერაძე, იოსებ დიდმელაშვილი, რომან ტატიშვილი, გიორგი გაბუნიძე, გიორგი კაკიაშვილი და სხვები.

* * *

სამგორის ველი დასტოვეს მზის სხივებმა. ბინდი ახლოვდებოდა. კოლმეურნე მზარეულებს ცეცხლი გაეჩაღებინათ, ვახშამს ამზადებდნენ. მწვადები შიშხინებდნენ, კახურ შოთებს, მწვანილს და სავსე ხელადებს საველე ხუფრაზე აწყობდნენ. ისმოდა მშენებელთა შეწყობილი სიმღერა.

დ. ლოგოთაძე



მახარაძის რაიონი. ლაითურის ჩაის ფაბრიკის საკენობი საამქრო. თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტები მერი ყიფიანი და გიორგი გიორგაძე საწარმოო პრაქტიკაზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ზეგეგმითი პროდუქცია დანაზოგი ლითონით

ჭუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის მოსამზადებელი განყოფილება, რომელსაც უფროსი ოსტატი მ. ჩეხელაშვილი ხელმძღვანელობს, მომსახურებას უწევს საიარაღო და სატვიფრო საამქროებს. განყოფილების კოლექტივი ყოველთვის წინა თვეში აწვდის მათ დაჭრილ ლითონს გეგმით გათვალისწინებული დეტალების დასამზადებლად.

წინათ აქ ამ ვიათად იყენებდნენ ნარჩენ ლითონს, ამჟამად კი რკინის მცირე ნაშერიც გამოიყენებულია. ამ ღონისძიების განხორციელებით მარტო ივნისში დაზოგილია 5 ტონაზე მეტი სხვადასხვა მარკის ლითონი, რითაც საამქროებმა რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადეს.

ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ნ. კუჭუხიძემ და ძ. გაბინმა, რომლებიც საუკეთესოდ არიან დაუფლებული ლითონის ჭრის პროფესიას.

დაზოგეს 3.130 ტონა ქვანახშირი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელის ბერიას სახელობის თბოელექტროსადგურის კოლექტივმა ჯერ კიდევ 26 მაისს შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების ნახევარი წლის გეგმა, ხოლო ივნისისა ოც დღეში, დაზოგა 3.130 ტონა ქვანახშირი.

ელექტროსადგურში წელს შეაკეთეს ორი ტურბინი და ორი გენერატორი, რეკონსტრუირებულ იქნა ქვაბი, რამაც საგრძნობლად გადიდა შრომის ნაყოფიერება და შესაძლებელი გახდა ქვანახშირის ეკონომია, საექსპლოატაციოდ გადაცემული ახალი მოწყობილობანი შეუფერხებლად მუშაობენ.

სასოფლო კლუბები

ქარელი. (საკ. კორ.). დვანის კოლმეურნეობაში მთავრდება სასოფლო კლუბის მშენებლობა, რომელიც 200 მაყურებელს დაიტევს. საკოლმეურნეო კლუბების მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ურბნისისა და ბერძენაულის კოლმეურნეობებშიც.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დავითაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ორდენები და მედლები გადასცა ხულოს რაიონის მასწავლებელთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს მასწავლებლებმა ივ. ფანჯავიძემ და ხ. კიკალეიძემ. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და დიდ სტალინს მასწავლებლებისა და საბჭოთა სკოლებისადმი მამობრივი მზრუნველობისათვის და პირობა დადეს, რომ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღსაზრდელად.

დასასრულ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ მთავრობისა და პარტიის მაღალი ჯილდოები და შემდგომ მუშაობაში წარმატება უსურვა.

სახარაჯო დაზგის ავტომატურად სამართავი აპარატი

ხარკოვი, 28 ივნისი. (საკდესი). სამარქმეიდერო ინსტრუმენტთა ქარხანაში დამზადეს ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. მ. კაუფმანის კონსტრუქციის ავტომატური აპარატი „აკ-4“. აპარატი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ერთმა მუშამ ერთდროულად გაუწროს მომსახურება რამდენიმე სახარატო დაზგას. საფეხურიანი დეტალების გაჩარხვა და შიგახარატება ხდება კოპირის გამოუყენებლად, რომლის დამზადებაზეც ჩვეულებრივად დიდი დრო იხარჯება.

ახალი კონსტრუქციის ავტომატები დეტალების დამუშავების მაღალ სიზუსტეს იძლევიან. წინასწარი გამოანგარიშებით, თვითეული აპარატის გამოყენებით მიღებული ეკონომია წელიწადში 35 ათას მანეთს შეადგენს.

მანქანათმშენებელი ქარხანა „სვეტ შახტიორაში“ ახალ ხელსაწყოებს გამართავენ ქვანახშირის ტრანსპორტიორების დეტალების დამუშავებელი სახარატო დაზგების ხაზზე.

ფართოდ გავავრცელოთ კოსინოელთა ძვირფასი გამოცდილება

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიაში

27 ივნისს შეხდა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კოსინოს სატრიკოტაჟო ფაბრიკის საამქროს უფროსის ს. ი. მიტინის ძვირფასი თაოსნობა არსებული მოწყობილობისა და საწარმოო ფართობიდან პროდუქციის მიღების გადიდების შესახებ.

ახალი პატრიოტული წამოწყების ინიციატორმა ამხ. მიტინმა კოლეგიის სხდომაზე დაწვრილებით ილაპარაკა თავისი მუშაობის შესახებ.

კოლეგიამ მოიწონა ამხ. ს. ი. მიტინის ინიციატივა და საჭიროდ ცნო, რომ კოსინოელთა ძვირფასი გამოცდილება ფართოდ გავრცელდეს მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგში.

მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ა. გ. კერკი

28 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ა. გ. კერკი. ვნუკოვოს აეროდრომზე ბ-ნ ა. გ. კერკს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი პ. ა. ბუშუევი და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა საქმეთა დროებითი რწმუნებულის ბ-ნ ფ. დ. კოლერის მეთაურობით. (საკდესი).

მხურავმა ოლღა ხოდონოვიჩმა ცვლაში 25 ნორმა შეასრულა

გომელი, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს მხურავმა ოლღა ხოდონოვიჩმა ქალაქის ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობაზე მუშაობისას შესანიშნავ საწარმოო წარმატებას მიაღწია — დღიური ნორმა 2.500 პროცენტით შეასრულა. მხურავმა ამხ. ტიტოროვიჩმა, რომელიც ხოდონოვიჩთან შეჯიბრებაშია ჩაბმული, ერთ დღეში 14 ნორმა შეასრულა.

ოლღა ხოდონოვიჩი ფაშისტ დამპყრობთაგან ბელორუსიის განთავისუფლების 5 წლისთავის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგა და უკეთესი შედეგების მიღწევა იკისრა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული კონტროლი საწარმოს საქმიანობისადმი

საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ყვანიამ ორთქლმავალთა გუნდების ახალი ცვლების მემანქანეთა მარშრუტები შეამოწმა და მემანქანეებთან საუბარში გამოარკვია, რომ დეპოს ინჟინერი გ. პატარიძე, რომელსაც მატარებლის წასვლის წინ მემანქანეთათვის უშიშარი მოძრაობის წესებზე ინსტრუქტაჟის ჩატარება ჰქონდა დავალებული, დაწესებულ საათებში სამუშაოზე არ მოდიოდა, დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებდა. გამოირკვა აგრეთვე, რომ ყველა ორთქლმავალი სასიგნალო მოწყობილობით არ იყო უზრუნველყოფილი, იყო შემთხვევები, როცა შეკეთების შემდეგ ორთქლმავლებს ექსპლოატაციაში უშვებდნენ ტექნიკური შემოწმების მოუხდენლად. ყველა ეს ნაკლი პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. პარტიულმა კრებამ სათანადო ღონისძიებები დასახა მათი გამოსწორებისათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ მიღებული დადგენილების შესრულება შეამოწმეს. პარტიული ორგანიზაციის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს დეპოს ადმინისტრაციას ტექნიკური ექსპლოატაციის წესების ზუსტად დაცვის საქმეში.

მოუწესრიგებელი იყო დეპოს ლაბორატორიის მუშაობა. აქ ორთქლმავლის ქვაბის ანალიზის შედეგებს მემანქანეებს ყოველდღიურად არ აცნობდნენ; ამის გამო მათ სრული წარმოდგენა არ ჰქონდათ ქვაბის ტექნიკურ მდგომარეობაზე. ლაბორატორიის მუშაობის საკითხი პარტიულ კრებაზე განიხილეს. მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობისადმი მტკიცე კონტროლი დაწესეს, რის შემდეგაც ლაბორატორიამ მუშაობა გააუმჯობესა. ახლა იგი ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოწინავე ლაბორატორიად ითვლება.

პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დეპოს ადმინისტრაციას შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: საგარეცხვო საამქროში შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები იყო — საამქროს ოსტატი პ. ტონია მუშებს ზედმეტ საათებში ამუშავებდა, ხოლო სამაგიეროდ, დეპოს ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად მათ თვითნებურად სამუშაო დღეებში ათავისუფლებდა. ეს ფაქტი პარტიულ ორგანიზაციას შეუმჩნეველი არ დარჩა. პარტიულ კრებაზე მოისმინეს საამქროს ოსტატის პ. ტონიას მოხსენება საამქროში შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. კომუნისტებმა მოურიდებლად გააკრიტიკეს საამქროში შრომის დისციპლინის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და ოსტატის კომუნისტ პ. ტონიას მოქმედება საწარმოში ერთმმართველობის პრინციპის დარღვევად ჩათვალეს. საამქროში შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით პარტიულმა კრებამ საჭირო გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობისათვის თვალყურის დევნება პარტბიუროს მდივნის მოადგილეს ამხ. ე. წილოსანს დაევალა. პარტიული ორგანიზაციის მიერ გატარებულმა ღონისძიებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, საამქროში შრომის დისციპლინა განმტკიცდა.

სამტრედიის საორთქლმავლო დეპოს პარტიული ორგანიზაცია 180-მდე კომუნისტს აერთიანებს. აქ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა კარგად არის დაყენებული. კომუნისტები საწარმოო დავალებათა განაღდებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, ხოლო პარტიული ორგანიზაცია სწორად ახორციელებს საწარმოს საქმიანობისადმი პარტიულ კონტროლს.

ვ. კოპალეიშვილი
„კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტი

ვამრავლოთ პროდუქციის ხარისხისათვის მებრძოლთა რიგები

დეპოელთა მაჩვენებლები

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა მრავალჯერ ისახელა თავი შესანიშნავი საწარმოო მაჩვენებლებით. მიმდინარე წლის განვლილ 5 თვეში დეპოელებმა გეგმის გადამეტებით შეასრულეს 47 ორთქლმავლის გარეცხვითი და 6 ორთქლმავლის აწევითი და სამუალო რემონტი. დეპოს ლუნინილმა მემანქანეებმა გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 73.386 ტონა ტვირთი და ამასთან ლაზოგეს დიდი რაოდენობის სათბობი. სახელოვან მემანქანეებს დ. ჭარბაძეს, ვ. ჩომახიძეს, ა. ჯღამაძეს და სხვებს სანიმუშოდ დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები.

ასეთი მიღწევები დეპოელებმა მოიპოვეს საწარმოო უბნებზე ძალთა მიზანშეწონილი განაწილების შედეგად, მუშებისა და მემანქანეებისათვის შრომის ისეთი პირობების შექმნით, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას, ფართო გასაქანს აძლევს ინიციატივას, იწვევს თვითეული მუშის დაინტერესებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, ნედლეულისა და სათბობის ეკონომიური ხარჯვით. ყოველივე ეს, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლასა და მუშებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებასთან ერთად, იწვევს წარმოების კულტურისა და რენტაბელობის განუხრელ ზრდას.

კრასნოხოლმელი ფეიქრის ალექსანდრე ჩუტკიხის პატრიოტული თაოსნობის პასუხად დეპოში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ხარისხისათვის ბრძოლა დეპოში ნიშნავს—იბრძოდე ორთქლმავლის კარგი გამართულობისათვის, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხარისხით არის შეკეთებული ორთქლმავალი. ამიტომ ორთქლმავლის გამართულობისათვის ბრძოლა აქ აწევითი, საშუალო და გარეცხვითი შეკეთების საამქროებიდან იწყება. გარეცხვითი შეკეთების საამქროში ორთქლმავლის საუკეთესო ხარისხით შეკეთებაში ერთმანეთს ეჯიბრება სამი კომპლექსური ბრიგადა, რომელთაც სტახანოველები შ. წამალაშვილი, მ. ბარნაბიშვილი და ნ. სინჯიკაშვილი ხელმძღვანელობენ. ბრიგადებში თავიდანვე მთავარი ყურადღება მიაქციეს მათ უბნებზე „ვიწრო ადგილის“ ლიკვიდაციას. შ. წამალაშვილის ზეინკალთა კომპლექსურ ბრიგადაში პირველ ხანებში ასეთი „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენდა საორთქლმავლე არმატურის, დგუშებისა და მკვეთარების უბანი. არმატურის კეთებაზე მუშაობდა ახალგაზრდა მეარმატურე ბ. ბოიარსკი, ხოლო დგუშებსა და მკვეთარებზე — ზეინკალი დ. სურამელაშვილი. ბრიგადის წევრთა დახმარებით მათ გააუმჯობესეს მუშაობა და ამჟამად მათი ნამუშევარი საუკეთესო ხარისხისაა. ასევე დაწინაურდნენ სხვა ბრიგადები და ამის შედეგად გარეცხვითი შეკეთების საამქრომ მაისში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 12 ორთქლმავალი, ხოლო ივნისის დავალება ვადამდე 4 დღით ადრე გაანაღდა.

ამ საამქროში დიდი მუშაობაა გაწეული წარმოების კულტურის ასამაღლებლად. საამქროს კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული, რომ წარმოების კულტურა მარტო სისუფთავის დაცვას როდი ნიშნავს. წარმოების კულტურა თვითეული მუშისაგან მოითხოვს სანიმუშო მდგომარეობაში იქონიოს სამუშაო ადგილი, ხელსაწყო და ინვენტარი, იყენებდეს მათ მეტი ნაყოფიერებით, მუშაობდეს მაღალხარისხოვნად და ამასთან აღწევდეს ნედლეულის მნიშვნელოვან ეკონომიას.

კარგად მუშაობენ დეპოს სხვა საამქროებიც. აწევითი შეკეთების საამქრომ პირველად მიმდინარე წლის აპრილში განახორციელა ორთქლმავლის ჩქარი მეთოდით შეკეთება, რასაც 96 საათის ნაცვლად მოუნდა 22 საათი. ივნისში საამქრომ გეგმის გადამეტებით ჩქარი მეთოდით შეაკეთა ერთი ორთქლმავალი. ამ საამქროში განსაკუთრებით ისახელა თავი სტახანოველ ბ. მაზმიშვილის ბრიგადამ.

ხარისხისათვის ბრძოლა გაშლილია არა მარტო წარმოებაში, საამქროებში. საამქროდან გამოსული შეკეთებული ორთქლმავლის მაღალხარისხოვანი მუშაობისათვის ბრძოლაში ფართოდ არიან ჩაბმული საორთქლმავლო გუნდები. ხარისხისათვის ბრძოლის დაწყებისას დეპოში შეამოწმეს საორთქლმავლო გუნდების მუშაობა. გამომეღავნდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი: საორთქლმავლო გუნდებს ყოველთვის არ ეწეოდა ინსტრუქტაჟი სამუშაოდ გასვლის წინ, ზოგმა მემანქანემ არ იცოდა ორთქლმავლის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, ზოგიც უპასუხისმგებლოდ და უყურადღებოდ მუშაობდა, ზოგს მოუვლელ და ტექნიკურად ცუდ მდგომარეობაში ჰქონდა ორთქლმავალი. ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დეპოს ადმინისტრაციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დროზე მიიღეს ზომები. მათ დეპოს კოლექტივი დარაზმეს ორთქლმავლის უსაფრთხო მოძრაობისათვის საბრძოლველად და კარგ შედეგსაც მიაღწიეს. თუ პირველ კვარტალში მატარებელთაშორისო შეკეთება მოითხოვა 12, ხოლო აპრილში — 4 ორთქლმავალმა, მაისში ეს რიცხვი 2-მდე შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ხაზზე ორთქლმავლის დაზიანების შემთხვევები: აპრილში 8 ასეთი შემთხვევა იყო, მაისში მხოლოდ ერთი, ივნისში კი არც ერთი.

საორთქლმავლო გუნდებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება ორთქლმავლის რენტაბელური ტარების, გეგმის გადამეტებით ტვირთის გადაზიდვისა და სათბობის ეკონომიისათვის. შეჯიბრების შედეგებს სისტემატურად აჯამებენ და აქვეყნებენ სპეციალურ დაფებზე. მაისში ნაწვავის ეკონომიასა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფო ტვირთზიდვაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მემანქანეებმა დ. ჭარბაძემ, სამხარაძემ, ფხაკაძემ, კალმახელიძემ, ფარქოსაძემ და სხვებმა.

მ. არუშიძე

სანიმუშოდ მომზადებული ეკონომიური პურეულის მკვლელობისათვის

პარტიის თელავის რაიონული კომიტეტის პლენუმმა 20 ივნისს განიხილა მოსავლის აღებისა და პურის დამზადებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. პლენუმმა მოიგონა კოლმეურნეთა გამგეობებს და პარტიულ ორგანიზაციებს, რომ არ გაიმეორონ შარშანდელი ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ მოემზადონ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

წელს თელაველები უფრო ორგანიზებულად შეუდგნენ პურეულის აღებისათვის მზადებას. მოწინავე კოლმეურნეობებში მზად აქვთ ყველა საჭირო იარაღ-მანქანები, ტრანსპორტი, ტარამასალა, ბეღლები, კალოები, საშრობი ფარდულები, სასწორები და სხვ. შედგენილი აქვთ მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების კონკრეტული გეგმა. თელავის მტს-მა დროულად შეაკეთა და სავსებით გაამზადა კომბაინები.

სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ შეადგინა მოსავლის აღების გეგმა, რომელშიც კონკრეტულად არის გათვალისწინებული თვითეული ბრიგადის საწარმოო დავალებანი და მათი შესრულებისათვის საჭირო მუშა-ხელი, ტრანსპორტი, ტარამასალა, მუშა-საქონელი და სხვ.

კოლმეურნეობაში ასაღებია 180 ჰექტარი პურეული. ამ სამუშაოში მონაწილეობას მიიღებს 228 კაცი. შერჩეულია 4 კალოს ადგილი, თვითეული ბრიგადა უზრუნველყოფილია ურმებით. გეგმის მიხედვით ყოველდღიურად მომკიან 18 ჰექტარს, გამოყენებული იქნება 280-მდე მოზარდი. მკა ათ დღეში დამთავრდება. მოსავლის აღებისათვის საუკეთესოდ მოემზადა პირველი ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ბიტიაშვილი. კარგი მაჩვენებლები აქვს მერგოლურ ვალერიან ბიტიაშვილს, რომელსაც უკვე გამომუშავებული აქვს 160 შრომადღე, კოლმეურნეებს დ. ბიტიაშვილს, გ. სააკაშვილს, დ. აივაზოვს, ს. აივაზოვს, ლ. ყაზაროვს და სხვ. აქ წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების ორჯერ მეტ მოსავალს მოელიან, ვიდრე შარშან მიიღეს. სანიორელებს სიმინდისა და ყურძნის უხვი მოსავალიც ექნებათ.

სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ (თავმჯდომარე ა. ქევხიშვილი) 120 ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი ასაღებია 368 ჰექტარზე. მზადებაც დროულად დაიწყეს. კომბაინით უნდა აიღონ 160 ჰექტარი, ხელით კი 208 ჰექტარი. გამოყოფილი არიან მკელები, ძნის შემკვრელები, კალოებზე დამხმარეები, თავთაეების მკრეფავები, ლეწვაზე მომუშავეები, ძნის ზიდველები და სხვ.

კოლმეურნეობამ საკუთარ სამჭედლოში დაამზადა 150 ცალი ახალი ნამგალი, შეაკეთა ცელები და სხვადასხვა იარაღი. მოსავლის ასაღებად საუკეთესოდ მოემზადნენ კომუნისტების ვ. ქევხიშვილის, ვ. ელიზბარაშვილის, ფ. ლაზოშვილის ბრიგადები; კომკავშირელი მერგოლურები: ს. ბარწყანაშვილი, თ. ჩაფიძე, მ. ელიზბარაშვილი, ს. ბარწყანაშვილი, ვ. ბერიაშვილი, ა. ქევხიშვილი და სხვები.

მოსავლის აღების კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს აკურის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ა. ნაპირელი). საბჭომ სესიაზე დროულად განიხილა მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი, დასახა ღონისძიებანი და კოლმეურნეობის თვითეულ ბრიგადას დეპუტატები მიამაგრა. საბჭოს დეპუტატები და აქტივი საქმით ეხმარებიან კოლმეურნეობებს მოსავლის აღებისა და პურის დამზადების ჩატარების საქმეში.

მთელი მოსამზადებელი მუშაობის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოსავლის აღების სწორი დაგეგმვა. მაგრამ ეს არ გაითვალისწინეს სოფელ ფშავლის მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტიისა და მთავრობის დადგენილებას „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“ კოლმეურნეები არ იცნობენ. პარტორგანიზაციის მდივანმა რ. შათირიშვილმა და აგრონომმა შ. რამაზაშვილმა არც კი იციან, შეადგინეს თუ არა მოსავლის აღების გეგმა. კოლმეურნეობა მზად არ არის მოსავლის აღებისათვის. კოლმეურნეობას შესაკეთებელი აქვს 1 ცალი ტრიერი, ერთი სანიავებელი მანქანა. საჭირო 200 ცალი ტომარიდან, არც ერთი არ შეუძენიათ, 24 საძნე ურმის ნაცვლად აქვთ 12, არ შესდგომიან კალოების მომზადებას, არ მოუწყვიათ მთავარი საშრობი კალო, გაუწმენდავია ბეღლები. ამ კოლმეურნეობაში მოსავალი ხელით ასაღებია 500 ჰექტარზე. ეს დიდ ორგანიზებულობას მოითხოვს. მაგრამ ამას აქ ანგარიშს არ უწევენ. კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. ამ კოლმეურნეობას მეტი დახმარება უნდა გაუწიოს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა.

პურეულის მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა მთელი შესაძლებლობა გამოვიყენოთ მოსავლის აღებისათვის მზადების უსწრაფესად ფასამთავრებლად.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ეაგიტაციონერთა საქალაქო შეკრება

ჭიათურა. (საკ. კორ.). სახელმწიფო თეატრში ჩატარდა მარგანეცის ქალაქის აგიტატორთა შეკრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე პარტბიუროს მდივნები და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელები. მარგანეცის ქალაქში საგიტაციო მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. დ. ტატიშვილი.

განსაკუთრებული ინტერესით იქნა მოსმენილი მარგანტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსის ინჟინერ შ. ბაქსაშვილის მოხსენება თემაზე — მარგანეცის 1949 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა და მორიგი ამოცანები. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხერდა მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქციის, საწარმოო პროცესების მექანიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, მაღაროთა რენტაბელურად მუშაობის და სხვა საკითხებზე.

მოხსენებათა გამო გაკეთებულ მონაწილეობა მიიღეს ამხ. დ. მეტონიძემ, მ. გორგაძემ, ბ. გამყრელიძემ, კ. ჩოგოვაძემ, შ. აბესაძემ, ა. ჯაოშვილმა; სიტყვით გამოვიდა აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. გეველესიანი.

შეიქმნა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი

ტყიბული. (საკ. კორ.). ჩამოყალიბდა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების რაიონული საორგანიზაციო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტს თავმჯდომარეობს გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ს. მერკვილაძე. წევრებად არჩეულია 27 მოწინავე ინტელიგენტი.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება წელს ტყიბულის შახტებში, საწარმოდაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მოაწყობს ორასამდე ლექციას პოლიტიკურ და მეცნიერულ თემებზე.

ვამრავლოთ პროდუქციის ხარისხისათვის მებრძოლთა რიგები

დეპოელთა მაჩვენებლები

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა მრავალჯერ ისახელა თავი შესანიშნავი საწარმოო მაჩვენებლებით. მიმდინარე წლის განვლილ 5 თვეში დეპოელებმა გეგმის გადამეტებით შეასრულეს 47 ორთქლმავლის გარეცხვითი და 6 ორთქლმავლის აწევითი და სამუალო რემონტი. დეპოს ლუნინილმა მემანქანეებმა გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 73.386 ტონა ტვირთი და ამასთან ლაზოგეს დიდი რაოდენობის სათბობი. სახელოვან მემანქანეებს დ. ჭარბაძეს, ვ. ჩომახიძეს, ა. ჯღამაძეს და სხვებს სანიმუშოდ დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები.

ასეთი მიღწევები დეპოელებმა მოიპოვეს საწარმოო უბნებზე ძალთა მიზანშეწონილი განაწილების შედეგად, მუშებისა და მემანქანეებისათვის შრომის ისეთი პირობების შექმნით, რაც ზრდის მათ პასუხისმგებლობას, ფართო გასაქანს აძლევს ინიციატივას, იწვევს თვითეული მუშის დაინტერესებას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, ნედლეულისა და სათბობის ეკონომიური ხარჯვით. ყოველივე ეს, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლასა და მუშებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებასთან ერთად, იწვევს წარმოების კულტურისა და რენტაბელობის განუხრელ ზრდას.

კრასნოხოლმელი ფეიქრის ალექსანდრე ჩუტკიხის პატრიოტული თაოსნობის პასუხად დეპოში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ხარისხისათვის ბრძოლა დეპოში ნიშნავს—იბრძოდე ორთქლმავლის კარგი გამართულობისათვის, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხარისხით არის შეკეთებული ორთქლმავალი. ამიტომ ორთქლმავლის გამართულობისათვის ბრძოლა აქ აწევითი, საშუალო და გარეცხვითი შეკეთების საამქროებიდან იწყება. გარეცხვითი შეკეთების საამქროში ორთქლმავლის საუკეთესო ხარისხით შეკეთებაში ერთმანეთს ეჯიბრება სამი კომპლექსური ბრიგადა, რომელთაც სტახანოველები შ. წამალაშვილი, მ. ბარნაბიშვილი და ნ. სინჯიკაშვილი ხელმძღვანელობენ. ბრიგადებში თავიდანვე მთავარი ყურადღება მიაქციეს მათ უბნებზე „ვიწრო ადგილის“ ლიკვიდაციას. შ. წამალაშვილის ზეინკალთა კომპლექსურ ბრიგადაში პირველ ხანებში ასეთი „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენდა საორთქლმავლე არმატურის, დგუშებისა და მკვეთარების უბანი. არმატურის კეთებაზე მუშაობდა ახალგაზრდა მეარმატურე ბ. ბოიარსკი, ხოლო დგუშებსა და მკვეთარებზე — ზეინკალი დ. სურამელაშვილი. ბრიგადის წევრთა დახმარებით მათ გააუმჯობესეს მუშაობა და ამჟამად მათი ნამუშევარი საუკეთესო ხარისხისაა. ასევე დაწინაურდნენ სხვა ბრიგადები და ამის შედეგად გარეცხვითი შეკეთების საამქრომ მაისში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 12 ორთქლმავალი, ხოლო ივნისის დავალება ვადამდე 4 დღით ადრე გაანაღდა.

ანიმუშოდ მომზადებული ეკონომიური პურეულის მკვლელობისათვის

პარტიის თელავის რაიონული კომიტეტის პლენუმმა 20 ივნისს განიხილა მოსავლის აღებისა და პურის დამზადებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი. პლენუმმა მოიგონა კოლმეურნეთა გამგეობებს და პარტიულ ორგანიზაციებს, რომ არ გაიმეორონ შარშანდელი ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ მოემზადონ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

წელს თელაველები უფრო ორგანიზებულად შეუდგნენ პურეულის აღებისათვის მზადებას. მოწინავე კოლმეურნეობებში მზად აქვთ ყველა საჭირო იარაღ-მანქანები, ტრანსპორტი, ტარამასალა, ბეღლები, კალოები, საშრობი ფარდულები, სასწორები და სხვ. შედგენილი აქვთ მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარების კონკრეტული გეგმა. თელავის მტს-მა დროულად შეაკეთა და სავსებით გაამზადა კომბაინები.

სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ შეადგინა მოსავლის აღების გეგმა, რომელშიც კონკრეტულად არის გათვალისწინებული თვითეული ბრიგადის საწარმოო დავალებანი და მათი შესრულებისათვის საჭირო მუშა-ხელი, ტრანსპორტი, ტარამასალა, მუშა-საქონელი და სხვ.

კოლმეურნეობაში ასაღებია 180 ჰექტარი პურეული. ამ სამუშაოში მონაწილეობას მიიღებს 228 კაცი. შერჩეულია 4 კალოს ადგილი, თვითეული ბრიგადა უზრუნველყოფილია ურმებით. გეგმის მიხედვით ყოველდღიურად მომკიან 18 ჰექტარს, გამოყენებული იქნება 280-მდე მოზარდი. მკა ათ დღეში დამთავრდება. მოსავლის აღებისათვის საუკეთესოდ მოემზადა პირველი ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ბიტიაშვილი. კარგი მაჩვენებლები აქვს მერგოლურ ვალერიან ბიტიაშვილს, რომელსაც უკვე გამომუშავებული აქვს 160 შრომადღე, კოლმეურნეებს დ. ბიტიაშვილს, გ. სააკაშვილს, დ. აივაზოვს, ს. აივაზოვს, ლ. ყაზაროვს და სხვ. აქ წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების ორჯერ მეტ მოსავალს მოელიან, ვიდრე შარშან მიიღეს. სანიორელებს სიმინდისა და ყურძნის უხვი მოსავალიც ექნებათ.

სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ (თავმჯდომარე ა. ქევხიშვილი) 120 ჰექტარზე მეტი ვენახი აქვს. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი ასაღებია 368 ჰექტარზე. მზადებაც დროულად დაიწყეს. კომბაინით უნდა აიღონ 160 ჰექტარი, ხელით კი 208 ჰექტარი. გამოყოფილი არიან მკელები, ძნის შემკვრელები, კალოებზე დამხმარეები, თავთაეების მკრეფავები, ლეწვაზე მომუშავეები, ძნის ზიდველები და სხვ.

კოლმეურნეობამ საკუთარ სამჭედლოში დაამზადა 150 ცალი ახალი ნამგალი, შეაკეთა ცელები და სხვადასხვა იარაღი. მოსავლის ასაღებად საუკეთესოდ მოემზადნენ კომუნისტების ვ. ქევხიშვილის, ვ. ელიზბარაშვილის, ფ. ლაზოშვილის ბრიგადები; კომკავშირელი მერგოლურები: ს. ბარწყანაშვილი, თ. ჩაფიძე, მ. ელიზბარაშვილი, ს. ბარწყანაშვილი, ვ. ბერიაშვილი, ა. ქევხიშვილი და სხვები.

მოსავლის აღების კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს აკურის სასოფლო საბჭო (თავმჯდომარე ა. ნაპირელი). საბჭომ სესიაზე დროულად განიხილა მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი, დასახა ღონისძიებანი და კოლმეურნეობის თვითეულ ბრიგადას დეპუტატები მიამაგრა. საბჭოს დეპუტატები და აქტივი საქმით ეხმარებიან კოლმეურნეობებს მოსავლის აღებისა და პურის დამზადების სანიმუშოდ ჩატარების საქმეში.

მთელი მოსამზადებელი მუშაობის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოსავლის აღების სწორი დაგეგმვა. მაგრამ ეს არ გაითვალისწინეს სოფელ ფშავლის მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტიისა და მთავრობის დადგენილებას „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ“ კოლმეურნეები არ იცნობენ. პარტორგანიზაციის მდივანმა რ. შათირიშვილმა და აგრონომმა შ. რამაზაშვილმა არც კი იციან, შეადგინეს თუ არა მოსავლის აღების გეგმა. კოლმეურნეობა მზად არ არის მოსავლის აღებისათვის. კოლმეურნეობას შესაკეთებელი აქვს 1 ცალი ტრიერი, ერთი სანიავებელი მანქანა. საჭირო 200 ცალი ტომარიდან, არც ერთი არ შეუძენიათ, 24 საძნე ურმის ნაცვლად აქვთ 12, არ შესდგომიან კალოების მომზადებას, არ მოუწყვიათ მთავარი საშრობი კალო, გაუწმენდავია ბეღლები. ამ კოლმეურნეობაში მოსავალი ხელით ასაღებია 500 ჰექტარზე. ეს დიდ ორგანიზებულობას მოითხოვს. მაგრამ ამას აქ ანგარიშს არ უწევენ. კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. ამ კოლმეურნეობას მეტი დახმარება უნდა გაუწიოს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა.

პურეულის მოსავლის მასობრივი აღების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. საჭიროა მთელი შესაძლებლობა გამოვიყენოთ მოსავლის აღებისათვის მზადების უსწრაფესად ფასამთავრებლად.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

აღებულია 8.039 ჰექტარი პურეული

ივნისის უკანასკნელ ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებში აღებულია 4.738 ჰექტარი პურეული, სულ კი 1 ივლისისათვის — 8.039 ჰექტარი.

ლაგოდეხის რაიონში აღებულია 1.799 ჰექტარი პურეული, სიღნაღის— 1.648, ყვარლის — 1.508, გარდაბნის— 891, თეთრი წყაროს — 618, თბილისის — 519, ბოლნისის — 260, თელავის — 164, მარნეულის — 126, ახმეტის — 100, კაჭრეთის — 152, ქუთაისის — 141, წულუკიძის რაიონში — 113 ჰექტარი.

შეტეხილია 406.733 ზონარმეტრი თამბაქო

1 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში შეტეხილია 406.733 ზონარმეტრი თამბაქო, აქედან ივნისის უკანასკნელ ხუთდღიურში — 248.371 ზონარმეტრი.

აფხაზეთის კოლმეურნეობებში შეტეხილია 21.400 ზონარმეტრი თამბაქო, ლაგოდეხის რაიონში — 171.727 ზონარმეტრი, მარნეულის — 166.185, ბოლნისის — 22.735, ყვარლის — 16.064, სიღნაღის — 7.622, ზუგდიდის რაიონში — 1.000 ზონარმეტრი.

ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ სოფლის მეურნეობაში მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებისა და მათი შემდგომი განვითარების გაშლილი პროგრამა დაგვისახა. ყრილობის გადაწყვეტილებებმა განსაზღვრეს რაიონის წინაშე მდგომი დიდი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანები, რომელთა წარმატებით განხორციელებისათვის თავდადებით იბრძვიან მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

ყვარლის რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვან დარგებს მარცვლეული კულტურები, მევენახეობა და თამბაქო წარმოადგენენ. ძირითადად ამ სამი დარგის განვითარება და წელს უხვი მოსავლის მიღება წყვეტს ჩვენი რაიონის წარმატების ბედს, რაიონის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ბედს. ამიტომ მთელი ენერგიის დაძაბვით დავიწყეთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა.

უხვი მოსავლის მისაღებად წარმოებულ ბრძოლაში საგაზაფხულო თესვა უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ჩვენს მუშაობას საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. სასოფლო საბჭოების მიხედვით მოვაწყეთ კოლმეურნეობების ბრიგადირთა, მერგოლურთა და მოწინავე კოლმეურნეთა თათბირები, რომლებზეც განვიხილეთ საკითხი: რა ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ წელს მივიღოთ ყველა კულტურის უხვი მოსავალი. თათბირებზე სიტყვებით გამოსულმა მოწინავე კოლმეურნეებმა წამოაყენეს ძვირფასი წინადადებანი, რომელთა განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს. კოლმეურნეთა წინადადებების საფუძველზე საჭიროდ ვცანით 2.000 ჰექტარი ნათესის დამატებით გამოსაკვებად შეგვეტანა ნაკელი 3.500 ტონის რაოდენობით და მინერალური სასუქი საჭიროების მიხედვით. ეს სამუშაო კარგად შესრულდა თითქმის ყველა კოლმეურნეობაში. ამასთან მთელი საშემოდგომო ნათესი, 10.000 ჰექტარი ორჯერ გავმარგლეთ. მარგვლა 20 მაისისათვის დავამთავრეთ.

საგაზაფხულო ხვნა - თესვისათვის დროულად და კარგად მომზადებამ შესაძლებლობა მოგვცა ვადაზე ადრე, მაღალხარისხოვნად შეგვესრულებინა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა გეგმები. მტკიცე აგროვადებში 115 პროცენტით გავანაღდეთ თესვის გეგმა, გეგმის გადამეტებით დაითესა 700 ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების საფუძველზე კოლმეურნეობების საწარმოო გეგმებით გათვალისწინებულია სიმინდის გათოხნა სამჯერ მაინც. სიმინდის ნათესის 500 ჰექტარზე დამატებით გამოკვების მიზნით შეტანილ იქნება 1.200 ტონა ორგანული სასუქი. სიმინდის ნათესის 80 პროცენტი დაითესა მწკრივად. ამჟამად მიმდინარეობს სიმინდის თოხნა.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ვალდებულება იკისრეს: 2.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარ

დისერტაციის დაცვა მიღიონერ კოლმეურნეობაში

წითელწყაროს. 30 ივნისი. წითელწყაროს რაიონის ასობით კოლმეურნე შეიკრიბა სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე, რომელზეც პოლიტეკონომიის მასწავლებელი დოცენტი ივანე ზაალის-ძე ხირსელი იცავდა საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ეკონომიკა“.

სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა პ. ვ. გუგუშვილმა.

დისერტანტი დოცენტი ი. ზ. ხირსელი დაწვრილებით შეჩერდა სოფელ არხილოსკალოს ისტორიაზე. ეს სოფელი მდებარეობს შირაქის ველის ნაყოფიერ მიწებზე, სადაც ამ საუკუნის დამდეგს, უკეთესი ცხოვრების საძებნელად, დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას აქტიური დახმარებით გადასახლდნენ ღარიბი გლეხები დუშეთის რაიონის მთის სოფლებიდან. მაგრამ ახალ მიწაზეც ვერ ჰპოვეს მათ ბედნიერება. ბედნიერება აქ მოვიდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შემდეგ.

კიროვის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა 1928 წელს. კოლმეურნეობას უცვლელად უდგას სათავეში ყოფილი ღარიბი გლეხი, ლენინურ-სტალინური კომკავშირის აღზრდილი, კომუნისტი ივანე ალექსის-ძე ქავთარაძე, ამჟამად სოციალისტური შრომის გმირი.

დისერტაცია შეიცავს ამ მოწინავე კოლმეურნეობის ეკონომიკის ანალიზს.

წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა, იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა, კოლმეურნეთა შემოსავალი.

თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე კოლმეურნეობა გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს მემინდვრეობა-მეცხოველეობის მეურნეობად.

კოლმეურნეობის ნაყოფიერ მიწაზე უხვად იზრდება თავთავიანი კულტურები, სიმინდი, მზესუმზირა, ვენახი და ხეხილი. მარცვლეულის საერთო მოსავალი წელიწადში 15-20 ათას ცენტნერს შეადგენს. მეცხოველეობის ფერმებში ითვლება 13.300 სულზე მეტი ცხვარი, 1.500 სულამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, დიდძალი ცხენი და ღორი.

კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა, რაც დაახლოებით 2 მილიონ მანეთს შეადგენს, შარშან ერთიორად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის შემოსავალს.

შირაქის მტს-ის მექანიზატორები ამუშავებენ კოლმეურნეობის თითქმის მთელ სახნავ-სათეს მიწებს, რითაც ზოგავენ ათასობით შრომადღეს და სხვა სამუშაოსათვის ათავისუფლებენ ასობით მუშახელს.

კოლმეურნეებმა შესაძლებლობა მიიღეს ყოველწლიურად დიდი თანხები დახარჯონ თავიანთი სოფლის კეთილმოსაწყობად, ახალი დამხმარე საწარმოების ასაშენებლად.

ახლა სოფელში არის ელექტროსადგური, ავტომანქანების გარაჟი, ხეტყის სახერხი ქარხანა, დიდი მარცვლეული საცავები, ზეთსახდელი ქარხანა, წისქვილი, ქოხ-სამკითხველო, რვაწლიანი სკოლა, საექიმო პუნქტი, აგურ-კრამიტის ქარხანა, ტელეფონის სადგური, რადიოკვანძი, თანასოფლელ ინჟინერ ვ. დარჩიაშვილის პროექტით აგებული საავადმყოფო.

კოლმეურნეობას საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები აქვს. საჭაპანო ტრანსპორტის გარდა, მის განკარგულებაშია 7 სატვირთო და ერთი მსუბუქი ავტომანქანა.

კოლმეურნეთა 200-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. მრავალი კოლმეურნე ახლაც სწავლობს უმაღლეს დაუსწრებელ სასწავლებლებში. კოლმეურნეობას ჰყავს აგრონომი, ორი ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი, ფერშალი, ორი ინჟინერი. საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის განვითარებაში უდიდესი მაორგანიზებელი როლი ეკუთვნის ხასოფლო-სამეურნეო არტელის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც 34 კომუნისტს აერთიანებს. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ აღზარდა უხვი მოსავლის სახელგანთქმული ოსტატები, რომელთაც მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით.

კოლმეურნეებმა ორგანიზებულად დაიწყეს თავთავიანი კულტურებისა და საკვები ბალახების უხვი მოსავლის აღება.

იბრძვის რა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, სოციალისტური შრომის გმირი, კომკავშირის აღზრდილი ბრიგადირი სტეფანე კობაიძე პირობას იძლევა მისი ბრიგადისათვის მიჩენილი თავთავიანი კულტურების 440 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღოს სულ ცოტა 18 ცენტნერი, ხოლო 70 უხვმოსავლიანი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვლეული.

დოცენტ ი. ზ. ხირსელის დისერტაცია გაცხოველებით განიხილეს დამსწრეებმა. ოფიციალური ოპონენტების — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ი. ლ. ჯაშის და ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ ნ. კ. ლაჭყეპიანის გამოსვლის შემდეგ ი. ზ. ხირსელის სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტებად გამოვიდნენ მეცნიერი მუშაკები, კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რაიონის პარტიული მუშაკები. მათ შორის იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. ა. ბერძენიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ფ. გ. გოგიჩაიშვილი, სოფელ არხილოსკალოს რვაწლიანი სკოლის პედაგოგი ვ. მელიქიშვილი, რაიონული გაზეთის რედაქტორი ვ. გოჩიტაშვილი, პარტიის რაიკომის პროპაგანდისტი ი. მენთეშაშვილი და სხვ.

ოპონენტებმა მაღალი შეფასება მისცეს დისერტაციას და ამავე დროს აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. კოლმეურნეობის მერგოლურმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ალექსი გოგბაიძემ აღნიშნა, რომ დისერტაციაში მთლიანად არ არის ასახული კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების საკითხები.

დოცენტ ი. ზ. ხირსელს ერთხმად მიენიჭა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში დისერტაციის დაცვამ მკაფიოდ ასახა მზარდი კავშირი მოწინავე საბჭოთა მეცნიერებასა და საკოლმეურნეო წარმოებას შორის. (საქლესი).

თანამედროვე თემებზე სპექტაკლების დათვალიერების შედეგები

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში შედგა თანამედროვე თემებზე სპექტაკლების დათვალიერების შედეგებისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

დათვალიერების შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. შ. ბუაჩიძემ.

საქართველოში დათვალიერების ორ ტურში მონაწილეობა მიიღო 18 თეატრმა. ნაჩვენები იყო რუს დრამატურგთა 13 პიესა და ქართველ დრამატურგთა 18 პიესა. მაღალი შეფასება მიიღო რუსთაველის თეატრის მიერ დადგმულმა ი. მოსაშვილის პიესამ „ჩაძირული ქვები“. კომისიამ აღნიშნა აგრეთვე გ. მდივნის „ვარდო“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ბ. ბარიანოვის „იმათ მხარეში“ გრიბოედოვის სახელობის თეატრში, ს. მიხალკოვის „საგანგებო დავალება“ ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, გ. გულიას „გაზაფხული საკენში“ და კ. სიმონოვის „სხვისი ჩრდილი“ სოხუმის თეატრში, მ. გოგიაშვილის „გულს უნდა“ ქუთაისის თეატრში, ა. სუროვის „მწვანე ქუჩა“ გორის თეატრში და ვ. კანდელაკის „განახლებული სოფელი“ ზიათურის თეატრში.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ი. დოლიძემ.

მოწინავე მაღაროს წარჩინებული ადამიანები

ზიათურა. (საკ. კორ.). კვლავ მაღალნაყოფიერად მუშაობს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა 20 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 5 მაისის ბრძანებულებამ ზიათურელ მაღაროელთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ამ მაღაროს ყველაზე მეტი ორდენოსანი ჰყავს. მარტო ამ ბრძანებულებით თერთმეტმა მოწინავე ადამიანმა მიიღო უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. ორდენოსნებს შორის არიან სახელგანთქმული სტახანოველები პ. მირონტაძე (იგი ახლა სამგზის ორდენოსანია), ი. თაბაგარი, ა. გაფრინდაშვილი, ვ. ნადირაძე, მ. ბუხრაშვილი, დ. გაფრინდაშვილი, გ. მირონტაძე, პ. მეცხოვრიშვილი, დ. ბრეგვაძე და მრავალი სხვა, რომლებიც ორსამმაგად ასრულებენ დავალებას.

მაღაროს კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრამდე შესრულებისათვის. წინ მიდიან პირველი და მესამე უბნები.

სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში

საქართველოს ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის პროფესორ ი. ჯაშის მოხსენება — საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა და ინსტიტუტის ამოცანები. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. მაგალითად, შემუშავებულ იქნა პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის რესპუბლიკის რაიონების მიხედვით ცხვრის სელექციის გეგმა. გადაწყდა შეადგინონ ცნობარი მეცხოველეობაზე, გამოსცენ სპეციალური ნაშრომი, ამასთან სასწავლო გეგმაში შეიტანონ ახალი საგანი „მეცხოველეობის მექანიზაცია“.

საკვები თესლბრუნვის დანერგვის საკითხის შესასწავლად წითელწყაროს რაიონში ინსტიტუტმა მიავლინა პროფესორები და დოცენტები.

კოლმეურნეები აშენებენ ახალ კლუბებს

დმანისი. (საკ. კორ.). სოფელ კალამშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აიგეს კლუბი, რომელიც 300-მდე კაცს იტევს. კლუბის შენობაში, გარდა მაყურებელთა დარბაზისა მოეწყო საკოლმეურნეო ბიბლიოთეკაც.

ახალი კლუბი ააშენეს აგრეთვე სოფელ ამბარლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

კლუბის მშენებლობა დაიწყეს აგრეთვე სოფელ დიდი გომარეთის კოლმეურნეობა „ახალ წყაროშიც“.

საბავშვო ბაგები კოლმეურნეობებში

ჯავა. (საკ. კორ.). თედელეთის, სარიდათის, ქოთანთოს კოლმეურნეობებმა მოაწყეს ბაგები მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

ბაგებისათვის შერჩეულია სუფთა და ნათელი ბინები. პატარებს მზრუნველობას არ აკლებენ მომვლელები.

საბავშვო ბაგების მოწყობის შემდეგ კოლმეურნეობებში გაიზარდა კოლმეურნე ქალების შრომითი აქტივობა.

აკადემიკოს ი. პ. პავლოვის იუბილესათვის

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს სრულდება 100 წელი დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის დაბადებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა საიუბილეო კომისია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. ერისთავი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. კეცხოველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ა. ნათიშვილი.

საიუბილეო დღეებში — 27-29 სექტემბერს ჩატარდება სპეციალური საიუბილეო სესია. ფართოდ იქნება გაშუქებული აკადემიკოს ი. პავლოვის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი უდიდესი დამსახურება ფიზიოლოგიის დარგში, უმაღლესი ნერვული სისტემის შესახებ პავლოვის სწავლების ფილოსოფიური არსი, პავლოვის მემკვიდრეობის შემდგომი განვითარების საკითხები, პავლოვის როლი შინაგან სნეულებათა კლინიკის, ნევროპათოლოგიის და ფსიქიატრიის განვითარებაში და სხვა. გარდა ამისა, საიუბილეო დღეებში მოეწყობა აკადემიკოს ი. პავლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოსვლელი სესია სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

საიუბილეო თარიღისათვის ქართულ ენაზე გამოიცემა პროფესორ დ. ა. ბირიუკოვის წიგნი: „ივანე პეტრეს-ძე პავლოვი“, რომელიც დაწერილია სპეციალურად ამ თარიღისათვის მოსკოვის ცენტრალური საიუბილეო კომისიის დაკვეთით.

მოეწყობა აგრეთვე აკადემიკოს ი. პ. პავლოვის ნაშრომებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

პასუხი შეკითხვებზე

სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა ჩინეთში

კ. მაღრაძის (ზესტაფონი), რ. ბერიაშვილის (თბილისი) და სხვათა შეკითხვა.

მსოფლიო საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალს ჩინეთის ამბებს. 475-მილიონიანი ჩინელი ხალხის გმირული ბრძოლები აღაფრთოვანებს მთელ მოწინავე და პროგრესულ კაცობრიობას. ძნელია ამ ბრძოლების გადაჭარბებით შეფასება. ეს უბრალო ბრძოლები როდია, იგი ნამდვილი სახალხო რევოლუციაა, რომელიც ანგრევს ფეოდალურ, ბიუროკრატიულ რეაქციულ წყობილებას და ბოლოს უღებს უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების ბატონობას ჩინეთში.

ჩინეთის სახალხო არმიამ მოკლე დროში გაათავისუფლა მანჯურია და მთელი ჩრდილოეთ ჩინეთი. გომინდანური მთავრობის ჯარებმა სასტიკი დარტყმა იგემეს ჯერ კიდევ 1948 წლის შემოდგომაზე. 1948-1949 წლების ზამთარში სახალხო არმიის შეტევითმა ოპერაციებმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს ნანკინის რეაქციული მთავრობა, რომელიც დარწმუნდა, რომ შეუძლებელი იყო განმათავისუფლებელი არმიის შეკავება. ამერიკელ პატრონთა რჩევით რეაქციული მთავრობა დაადგა პოლიტიკური ბრძოლის გზას. საზავო მოლაპარაკების გამართვა, მოლაპარაკების გაჭიანურება, დაპირება და მოტყუება, დროს გახანგრძლივება — ყოველივე ეს ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ ფეხზე დაეყენებინათ გომინდანელთა შებერტყილი ჯარის ნაწილები, მიეღოთ ახალი შეესება და ცვლა ეცადათ იერიშების მოგერიება. ასეთი იყო იმ საზავო მოლაპარაკების ფარული აზრი, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში ბეიპინში დაიწყო ნანკინის მთავრობის ინიციატივით. ამ დროს ჩან კაი-ში უკვე „გადამდგარი“ იყო პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზიდან. ჩინეთის პრეზიდენტის მოვალეობა მან დააკისრა ლი ძუნ-ჟენს. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ხო ინ-ცინი. მაგრამ ჩან კაი-შის ეს გადადგომა თვალთმაქცობა იყო. ფაქტიურად იგი თვითონ ხელმძღვანელობდა ჩინეთის რეაქციული მთავრობის პოლიტიკას.

გომინდანურმა მთავრობამ 20 აპრილს უარყო კომუნისტური პარტიის 8 პირობა. ამის გამო ჩინეთის სახალხო-რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალმა ჯუ დე დ განაცხადეს: საზავო შეთანხმების უარყოფის მიზეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩინეთის რეაქციონერები კვლავ ემორჩილებიან ამერიკის იმპერიალისტთა და გომინდანის მეთაურის ჩან კაი-შის ბრძანებებს, რომლებიც ცდილობენ დააბრკოლონ ჩინელი ხალხის განთავისუფლების საქმე და ჩინეთის საშინაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრაო. ამიტომ მათ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს მიმართეს: „გაათავისუფლეთ მთელი ჩინეთის ხალხი და დაიცავით ჩინეთის დამოუკიდებლობა, ტერიტორიის მთლიანობა და მისი სუვერენიტეტი!“

შეტევაზე გადასვლის ბრძანების მიღებიდან ორი დღის შემდეგ, 23 აპრილს, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა წარმატებით გადალახეს ჩინეთის უდიდესი მდინარე იანძი და იერიშით დაიკავეს ჩინეთის დედაქალაქი ნანკინი. ამ ოპერაციის სირთულეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ მდინარე იანძის ნანკინთან 1950 მეტრი სიგანე აქვს.

სახალხო არმიამ უდიდესი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს შანხაის პროვინციის დედაქალაქის ტაიუანისათვის ბრძოლაში, სადაც გომინდანის არმიამ 64 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. 1 მაისს გათავისუფლებულ იქნა სამხედრო-სტრატეგიული სიმაგრე დატუნი. 3 მაისს სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დაიკავა ჯეძიანის პროვინციის დედაქალაქი ხანჯოუ. ასევე წარმატებით იქნა განთავისუფლებული ძიანსის პროვინციის დედაქალაქი ნანჩანი, სადაც 1927 წელს იშვა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია. 27 მაისს 15 დღის ბრძოლების შემდეგ სახალხო არმიამ გაათავისუფლა ჩინეთის უდიდესი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრი და პირველხარისხოვანი ნავსადგური შანხაი. შანხაი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია. ათეული წლების მანძილზე იგი ჩინეთში შესასვლელი ღია კარი იყო უცხოელი იმპერიალისტებისათვის. ამერიკელი იმპერიალისტები განსაკუთრებით დიდ უურადღებას აქცევდნენ შანხაის დაცვას. 300 ათას გომინდანელ ჯარისკაცსა და ოფიცერს ნაბრძანები ჰქონდათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლათ ქალაქის დასაცავად. მაგრამ გმირმა სახალხო არმიამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და გაათავისუფლა ქალაქის 6 მილიონიანი მოსახლეობა.

გადალახა და გაათავისუფლა რა მდინარე იანძის აუზი შუა და ქვემო დინების მთელ სიგრძეზე, სახალხო არმიამ ერთი თვის ბრძოლების შედეგად დაიკავა 100-ზე მეტი ქალაქი. 2 ივნისს განთავისუფლებულ იქნა ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო ნავსადგური ცინდაო. ცინდაო ამერიკის ფლოტისა და ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ბაზა იყო.-

სახალხო-განმათავისუფლებელი არმია წარმატებით ავითარებს შეტევას სამხრეთ ჩინეთში. იგი მიიწევს კანტონისაკენ. კანტონი ახლა გომინდანური მთავრობის დროებითი თავშესაფარია. უფრო სუსტი ნერვების მქონე მინისტრებმა თავი შეაფარეს ფორმოზას. კუნძული ფორმოზა მატერიკიდან 200 კილომეტრით არის დაშორებული. იაპონელ დამპყრობთა კაპიტულაციის შემდეგ ფორმოზა ხელში ჩაიგდეს ამერიკელებმა და დაიწყეს მტკიცება, რომ მას ამერიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ახლა კუნძულზე გამეფებულია ამერიკის საიდუმლო პოლიცია და ამერიკელი იმპერიალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფორმოზა პლაცდარმად გამოიყენონ დემოკრატიული ჩინეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორიოდე წლის წინათ ამერიკელი იმპერიალისტები ფიქრობდნენ ჩინეთი გამოეყენებინათ პლაცდარმად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთ „დაგუნბაოს“ რედაქტორი აღნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისით „სახელდობრ ჩინეთი უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შესაქმნელი სისტემის ცენტრი“. რეაქციული გაზეთი „ძიუგოიბაო“ წერდა: ჩინეთისადმი დახმარება შეერთებულ შტატებს შესაძლებლობას მისცემს აზიის კონტინენტზე „შექმნას მძლავრი ბასტიონი და მესამე მსოფლიო ომში დაიკავოს სრულიად მიუღებელი პოზიციაო“. დიუი და სხვა ამერიკელი რეაქციონერები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ გომინდანურ მთავრობას. 1947 წლის დეკემბერში ჩინეთის გომინდანურმა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღო 150 საბრძოლო თვითმფრინავი და 58.000-ზე მეტი ტონა საჭურველი, 1948 წლის იანვარში მიიღო 80 თვითმფრინავი და 3.800-ზე მეტი ტონა საჭურველი. სარწმუნო ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ჩინეთის სამოქალაქო ომში გომინდანის წაქეზება 6 მილიარდი დოლარი დაუჯდა. ამერიკულ დოლარებთან ერთად ჩინეთში იგზავნებოდნენ ამერიკელი „ინსტრუქტორები“, რომლებიც მბრძანებლობდნენ და იქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ ოჯახში.

ამერიკელებს ჩინეთში ჰქონდათ ფარული აეროდრომები, ხელს უწყობდნენ სახალხო არმიისა და კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლას. ავიაციის გენერალმა ჩენოლტმა 1948 წლის ნოემბერში ჩან კაი-შის აცნობა, ჩემი ავიოშენაერთების მებრძოლებს სურვილი აქვთ ჩინეთის კომუნისტების წინააღმდეგ იბრძოლონო.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა განაცხადა: „ჩინელი ხალხი არასოდეს არ დაუშვებს, რომ იგი უცხოეთის იმპერიალიზმმა მონად გაიხადოს“. ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისაგან მან მოითხოვა, ჩინეთიდან გაიყვანონ თავიანთი შეიარაღებული ძალები და შეუწყვიტონ დახმარება გომინდანურ მთავრობას.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ ჩაშალა ამერიკელ იმპერიალისტთა გეგმები ჩინეთში. სამი წლის ბრძოლების შედეგად მან მწყობრიდან გამოიყვანა 5.500 ათასზე მეტი გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით; გაათავისუფლა ჩინეთის ძველი ტერიტორიის ნახევარზე მეტი, რომლის მოსახლეობა 200 მილიონს აღემატება.

განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 3.013 ტანკი, 12.026 სამხედრო-სატვირთო მანქანა, 216.700-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 37.240-ზე მეტი სხვადასხვა ყალიბის ქვემეხები, 260 მილიონზე მეტი ვაზნა. თითქმის ყველა ეს საჭურველი ამერიკიდან იყო შეტანილი.

მოხდა ისე, რომ გომინდანის არმია, როგორც ეს ჩინეთის გამოჩენილმა მწერალმა გო მო-ჟომ აღნიშნა პრაღაში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე, არმია, რომელსაც მხარს უჭერდნენ ამერიკელი იმპერიალისტები, სახალხო არმიის საჭურვლით მომმარაგებელი გახდა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები—სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის არსენალი.

რით აღწევს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებებს? რა არის ამ გამარჯვებათა წყარო?

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმატებათა მთავარი წყარო ის არის, რომ ჩინელი ხალხის ბრძოლას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელსაც მხარს უჭერს მთელი მშრომელი ხალხი. განთავისუფლებული ქალაქებისა და რაიონების მშრომელები აღფრთოვანებით ეგებებიან სახალხო არმიის მებრძოლებს. ხალხი მტრის ზურგში ქმნის პარტიზანულ რაზმებს, ანგრევს მტრის კომუნიკაციებს, ანადგურებს გომინდანელთა ჯარის ნაწილებს. მაგალითად, გუანდუნის, გუანსის, ხუნანისა და იუნანის პროვინციებში პარტიზანებმა გაათავისუფლეს 100-მდე მაზრა.

გომინდანური მთავრობის ჯარის ნაწილებიც რწმუნდებიან, რომ სიმართლე კომუნისტების მხარეზეა. ამიტომ მებრძოლთა დიდი შენაერთები უერთდებიან სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას. მაგალითად, სახალხო არმიას შეუერთდა გომინდანელთა 96-ე არმია გენერალ უ ხუა-ვენის სარდლობით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში სახალხო არმიის მხარეზე. ასევე მოიქცა გომინდანელთა 60-ე არმია გენერალ ძე ძე-შენის სარდლობით. მიმდინარე წლის მაისში სახალხო არმიის მხარეზე გადაეცა 52 საბრძოლო და დამხმარე გემი.

ყოველივე ეს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას შესაძლებლობას აძლევს წარმატებით განავითაროს შეტევა. ამავე დროს ჩრდილოეთ ჩინეთში, რომელიც ახლა უკვე ღრმა ზურგის რაიონია, გაჩაღდა მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა, სამხედრო ქარხნების სამშვიდობო ყაიდაზე გარდაქმნა. რეფორმის შედეგად 100 მილიონ გლეხს საკმაო რაოდენობით მიეცა მიწის ნაკვეთი. სოფლად და ქალაქად გაშლილია შრომითი შეჯიბრება. ბრავალმა გლეხმა მიიღო შრომის გმირის მაღალი წოდება.

ნიადაგი მომზადდა ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული კოალიციური მთავრობის შესაქმნელად. ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. სინხუას სააგენტოს ცნობით, 19 ივნისს ბეიპინში მუშაობა დაამთავრა ახალი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის სესიამ. პოლიტიკურმა საკონსულტაციო საბჭომ უნდა შექმნას ჩინეთის დემოკრატიული კოალიციური მთავრობა.

ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობის შექმნას კომუნისტურმა პარტიამ საფუძვლად დაუდო ფართო დემოკრატიზმის პრინციპი. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მოსამზადებელი კომიტეტის მუშაობაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ დემოკრატიული პარტიებისა და ჯგუფების, აგრეთვე გომინდანის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები.

ცნობილია, რომ გომინდანი—წვრილბურჟუაზიული, ეროვნული პარტია, რომელიც დიდმა ჩინელმა მოღვაწემ სუნ იატ-სენმა შექმნა 1912 წელს, პირველ პერიოდში იმდენად პროგრესული პარტია იყო, რომ საარგებლობდა კომუნისტების თანაგრძნობითა და მხარდაჭერით, კომუნისტებთან ერთად ეწეოდა ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლას. მაგრამ სუნ იატ-სენის სიკვდილის შემდეგ (1925 წელი) გომინდანი გადაგვარდა. იგი ჩინეთის რეაქციის ბურჯი და იმპერიალისტთა სურვილის აღმასრულებელი გახდა, სისხლში ახშობდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას.

იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში 1937 წლიდან გომინდანი კვლავ სარგებლობდა კომუნისტური პარტიის მხარდაჭერით, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში იაპონიის დამარცხების შემდეგ ამერიკელ იმპერიალისტთა მორჩილმა გომინდანმა მთელი ძალები მიმართა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. გომინდანურმა მთავრობამ უარი განაცხადა კოალიციური მთავრობის შექმნაზე, მოაწყო ლაშქრობა კომუნისტური არმიის წინააღმდეგ. მაგრამ კომუნისტურ პარტიას მხარს უჭერენ ფართო მასები. თვით გომინდანის პარტიის ბევრი მემარცხენე მოღვაწენი, რომლებიც არ იწონებენ რეაქციული მთავრობის პოლიტიკას, თანაუგრძნობენ კომუნისტებს. ამ დემოკრატ მოღვაწეთა წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის კოალიციური მთავრობის შედგენაში.

ჩინეთის კოალიციური მთავრობა სათავეში ჩაუდგება დემოკრატიულ რესპუბლიკას, მოსპობს რეაქციის ძალებს, დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებს იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც ამის სურვილს გამოთქვამენ და აღიარებენ ჩინეთის დამოუკიდებლობას, უხელმძღვანელებს სახალხო მეურნეობის აღორძინებას, ბოლომდე მიიყვანს დემოკრატიულ გარდაქმნებს და რესპუბლიკას წაიყვანს სოციალიზმის მშენებლობის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ განთავისუფლებულია ჩინეთის სამეურნეო, სამრეწველო და კულტურის ცენტრთა დიდი უმრავლესობა, სახალხო არმიას კიდევ მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდება. ერთი რამ მაინც ნათელია — არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩინელი ხალხი წარსულს დაუბრუნოს. მომავალი თავისუფალ ჩინელ ხალხს ეკუთვნის.

აკ. ჩავლეიშვილი

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის მეორე ყრილობაზე

ჰელსინკი, 30 ივნისი. (საკქლესი). ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის მეორე ყრილობა განაგრძობს მუშაობას. გუშინ საღამოს ყრილობაზე მოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის წარმომადგენელი ჰელმუტ ლემანი.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივ კომიტეტს გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირი, რომელიც თავისი არსებობის მთელ პერიოდში უდრეკად იცავს მშვიდობას, შეიკრიბა რა თავის მეორე ყრილობაზე, კომიტეტის საშუალებით მხურვალე სალამს უთვლის მშვიდობის ყველა მომხრეს მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას! გაუმარჯოს ხალხთა შორის მეგობრობას!“

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერს ნენის.

პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესზე

ფილანი, 30 ივნისი. (საკუთ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესის გახსნის შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დროებითმა თავმჯდომარემ და იტალიის შრომის საყოველთაო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დი ვიტორიომ. შემდეგ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა გენერალურმა მდივანმა ლუი საიანმა.

დი ვიტორიოს სიტყვა

პროფკავშირთა პირველი მსოფლიო კონგრესის შემდეგ, რომელიც 1945 წელს შედგა, — თქვა დი ვიტორიომ, — მოხდა მრავალი მოვლენა, რომლებმაც დიდად შეცვალეს მდგომარეობა მთელ მსოფლიოში. ეს ცვლილებანი ახლოს ეხებიან ყველა ქვეყნის მუშათა კლასს, რამდენადაც ჩვენს ხანაში ისტორიის მთავარი მოქმედი პირნი მშრომელები არიან.

პირველი კონგრესის პერიოდში მეორე მსოფლიო ომი ისაის იყო დამთავრდა ისტორიული გამარჯვებით ფაშიზმსა და ჰიტლერიზმზე. ამ ომის მსვლელობაში, რასაც ხალხის მასები აწარმოებდნენ თავისუფლების, დემოკრატიის, სოციალური პროგრესისა და ხალხთა ეროვნული განთავისუფლების საქმისათვის, განმტკიცდა სოლიდარობის კავშირი ყველა ქვეყნის, კონტინენტის, ყველა ეროვნების, რასისა და სარწმუნოების შრომელთა შორის.

ფაშიზმისა და ნაციზმის ძალებზე დემოკრატიისა და პროგრესის ძალების გამარჯვებამ მშრომელებსა და ხალხებს გაუცოცხლა იმედი, რომ სოციალური სამართლიანობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საუკეთესო ხანა დადგებოდა, კერძოდ, კოლონიურ და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხებისათვის.

საზოგადოებრივი პროგრესის ისტორიის ამ ახალ ეტაპს ახასიათებდა მშრომელთა ახალი ძალების უმაგალითო მოზღვავება თავისუფალ დამოუკიდებელ პროფკავშირებში. ახალი პროფკავშირული ორგანიზაციები ჩნდებოდნენ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, კოლონიურ ქვეყნებში, აზიასა და აფრიკაში, სადაც მრავალი მილიონი არადამონურად ექსპლოატირებული მშრომელნი პირველად დაიარაზმნენ და ბრძოლა გააჩაღეს თავიანთი ეკონომიური მოთხოვნებისა და პროფკავშირული უფლებებისათვის, დემოკრატიული თავისუფლებებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. გაძლიერებული საერთაშორისო სოლიდარობის ამ ვითარებაში წარმოიშვა პროფკავშირთა დიადი მსოფლიო ფედერაცია, რომელიც მსოფლიოს 5 კონტინენტის 52 ქვეყნის 65 მილიონამდე ორგანიზებული მშრომელი გაერთიანა. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დიდი დამსახურებაა, რომ მან ისტორიაში პირველმა გაერთიანა ერთიან ორგანიზაციად ყველა რასისა და ყველა კონტინენტის მშრომელთა ესოდენ ფართო მასები. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია წარმოიშვა, როგორც ცოცხალი გამოხატულება ახალი ისტორიული ეტაპისა, რაც დაიწყო ფაშიზმზე ხალხთა გამარჯვებიდან და რასაც ახასიათებდა პროფკავშირულ ბრძოლაში, კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში მშრომელთა იმ ახალი ფენების, მილიონობით იმ ადამიანთა ჩაბმა, რომლებიც გამსჭვალული არიან ერთსულოვანი მისწრაფებით — მჭიდრო ერთიანობით მიაღწიონ თავიანთი ცხოვრების დონის ამაღლებას, ხელი შეუშალონ ფაშიზმის აღორძინებას და კაცობრიობა იხსნან ახალი ომისგან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მუდამ მაღლა ეჭირა და კვლავაც მაღლა დიაჭირს მთელი მსოფლიოს მშრომელთა კეთილდღეობისათვის, სოციალური პროგრესის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის ამ დროშას.

თავისი არსებობის სამწელიწადნახევრის განმავლობაში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ დიდმნიშვნელოვანი მუშაობა გასწია, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რომლებსაც მას უქმნიდნენ, ამასთან ხშირად საკუთარსავე რიგებში. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ დიხმარება გაუწია თითქმის მთელი რიგი ქვეყნების, პირველ რიგში კოლონიური და ფაშისტური ქვეყნების — ესპანეთისა და საბერძნეთის მშრომელებს, სადაც ისინი ხეცეტურ ექსპლოატაციას და საშინელ ჩაგვრას განიცდიან. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მსოფლიოს ყველა ტრიბუნა გამოიყენა, მტკიცედ გამოდიოდა დევნილთა დასაცავად, ამხილებდა ფაშისტურ მთავრობათა დანაშაულობას და ამით ბევრი მშრომელი და პროფკავშირული ხელმძღვანელი გადარჩინა სიკვდილს. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ყველგან ხელს უწყობდა მშრომელებს მათს ბრძოლაში ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისათვის, ამასთან ცალკეული ქვეყნების მშრომელები ხშირად აღწევდნენ ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ამავე დროს საბალხო დემოკრატიის ქვეყნებში განხორციელდა ღრმა სოციალური რეფორმები, რომელთა მეოხებით ამ ქვეყნების მშრომელებმა საბოლოოდ დაამსხვრიეს კაპიტალიზმისა და ფეოდალური მონობის საუკუნოვანი ბორკილი, შექმნეს საკმარი პირობები იმისათვის, რომ აღშენონ ახალი საზოგადოება, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმუშევრობა, სიღატაკე და ტანჯვა. ამ ფაქტორებმა განმტკიცეს მუშათა დემოკრატიული მოძრაობა მთელ მსოფლიოში. მაგრამ სწორედ ეს არ უნდოდათ ტრესტებსა და კერძო მონოპოლიებს. სწორედ ეს არ უნდოდათ იმპერიალისტებს. მათ სურდათ ხელი შეეშალათ სოციალური პროგრესისათვის, აეძულებინათ მუშათა მოძრაობა, რომ უკან დაეხია, და უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი! ამისათვის ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტებმა დაარღვიეს სოლიდარობა მოკავშირე სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც ერთობლივი ბრძოლით მოიგეს ომი ფაშიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ. ამისათვის მათ გააჩაღეს ცილისწამების სამარცხვინო კამპანია საბჭოთა კავშირის და სხვა იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც საშუალამდე განთავისუფლნენ ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან. ამისათვის ისინი ცდილობენ მსოფლიო გათიშონ და მშრომელები გაიყოლიონ ამ გზით. ამისათვის მათ ატლანტიკის ხელშეკრულების ბლოკი შექმნეს სამხედრო იმპერიალისტური კოალიცია და აქტიურად მუშაობენ, რათა ახალი ომი გააჩაღონ თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის დასამყარებლად მთელ მსოფლიოში.

მაგრამ ხალხებს მხურვალედ სურთ მშვიდობა, და მათ უნარი შესწევთ აიძულონ მოწინააღმდეგენი, რომ პატივი სცენ მათს მისწრაფებას მშვიდობისადმი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კონგრესი, გამოხატავს რა ყველა მშრომელთა გრძნობას, საქვეყნოდ გაანაცხადებს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მტკიცე წინააღმდეგობას გაუწევს მსოფლიოს გათიშვის ყოველ ცდას და იბრძოლებს ხალხთა შორის მშვიდობისათვის! (ტუხარე ტაში). ომის საფრთხესთან ერთად თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, განსაკუთრებით კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, აზვირთდა რეაქცია, რომელიც მიმართულია მუშათა კლასისა და პროფკავშირული მოძრაობის წინააღმდეგ.

რეაქცია ორ მიზანს ისახავს: მოსპოს პროფკავშირული უფლებები და მშრომელთა დემოკრატიული თავისუფლებანი, რათა შეუზღუდველი ექსპლოატაცია გაუწიოს მათ, მოუსპოს მშრომელებს მშვიდობისადმი მათი მისწრაფების გამოთქმის კანონიერი საშუალებანი, რათა შეძლოს ახალი ომის გაჩაღება. როგორც ყოველთვის, კაპიტალიზმი ეარაუდობს თავიდან აიცილოს ეკონომიური კრიზისი ომის საშუალებით, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერების საშუალებით. ახლანდელ მდგომარეობას ახასიათებს ეკონომიური დეგრესია, რაც ძლიერდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის ყველაზე მძლავრ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მრეწველობის ძირითადი დარგების წარმოება მცირდება და მატულობს უმუშევრობა.

მაგრამ მსოფლიოში არის ფაქტორი, რომელსაც ვერავინ დაუმალავს. მშრომელებს. ეს ფაქტორი უფრო ძლიერია, ვიდრე ატომური ბომბები, ვიდრე ყოველი სახის საიდუმლო იარაღი. ეს ფაქტორი ომაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და სხვა იმ ქვეყნებში, რომლებმაც მოსპეს კაპიტალისტური წესწყობილება, არ არსებობს კრიზისები, დეპრესიები და უმუშევრობა (მქუხარე ტაში). მხოლოდ ამ ქვეყნებში იზრდება წარმოება განუხრელად და ამავე დროს უმჯობესდება მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა.

ვინ არის დაინტერესებული იმით, რომ მოითხოვდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის „საქმიანობის შეწყვეტას“ ამ პირობებში, როცა ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობა და ძლიერება? ვინ არის დაინტერესებული საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის გათიშვით და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ლიკვიდაციის დასუსტებით? მხოლოდ ომის გამჩაღებლები და რეაქციის დამქაშები! ცხადია, რომ გამთიშველები ამ ვაჟბატონების სამსახურში არიან! ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ კონგრესი მოიწონებს წინანდელი აღმასრულებელი ბიუროს უმრავლესობის და აღმასკომის მტკიცე პოზიციას, რომლებმაც წარმატებით გაუწიეს წინააღმდეგობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ლიკვიდაციისა და დეზორგანიზაციის ცდებს.

ყოველი გათიშვა ავადმყოფობაა. ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, გავაკეთეთ, რათა იგი თავიდან აგვეცილებინა. ამ საქმის წარმატებისათვის საჭირო იყო ყველას ჰქონოდა სურვილი პატიოსნად ემსახურნა მუშათა კლასის საქმისათვის. მაგრამ გამთიშველთა განზრახვა ასეთი რიდი იყო. ახლა ცდილობენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია გადაქცევნ მუშათა კლასის მხოლოდ ერთი ნაწილის, მშრომელთა მხოლოდ ერთი ნაწილის ორგანიზაციად. ეს არ მოხდება! პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია იყო და კვლავაც იქნება პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ყველა მშრომელს აერთიანებს. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ყველა მშრომელთა ერთიანური ორგანიზაციაა იმიტომ, რომ მხოლოდ ის არ ურიგდება პოლიტიკური, იდეოლოგიური, რელიგიური და რასობრივი ხასიათის რაიმე დისკრიმინაციას. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი კონგრესი გააძლიერებს საერთაშორისო პროფკავშირულ ერთიანობას და გაამართლებს 70 მილიონი მშრომელის ნდობას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისადმი.

სირცხვილი იმათ, ვინც ცდილობს მშრომელთა გათიშვას. სირცხვილი იმათ ვინც ახორციელებს დისკრიმინაციას მშრომელთა შორის და უთანხმობას თესავს მათ რიგებში! პატივი და დიდება მშრომელებს და პროფკავშირულ აქტივისტებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს შრომის განთავისუფლების საქმეს! პატივი და დიდება მშრომელთა პურისათვის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლთ, რომელნიც ფაშისტური ტერორის პირობებში მოქმედებენ! გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო ერთიანობას! გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას!

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი დასავლეთ გერმანიის ეკონომიკისადმი

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკუთ.). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ფრანკფურტელი კორესპონდენტი კუკი კომენტარს უკეთებს დასავლეთ გერმანიის ეგრეთწოდებული უმაღლესი სამოკავშირეო კომისიის გამოქვეყნებულ წესდებას და აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის მართვა, რაც დღემდე ამერიკელებისა და ინგლისელების ხელში იყო, ახლა, ამ წესდების შემოღების შემდეგ, „ამერიკის შეერთებული შტატების უცილობელი პრეროგატივა“ გახდება. კუკი აღნიშნავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები გაუწევენ კონტროლს გერმანიის საშინაო ეკონომიურ საქმეებს და რომ „მარშალის გეგმის“ განხორციელების ახალი გაფართოებული მასაა შეცვლის დასავლეთ გერმანიის ტრანსპორტის, მიწათმოქმედების, ვაჭრობის, მრეწველობისა და კავშირგაბმულობის მართვის ახლანდელ ინგლისურ-ამერიკულ ორგანოებს.

მაშინ როცა წინათ გერმანიის ეკონომიკის საკითხებზე გადაწყვეტილებებს ინგლისელები და ამერიკელები ერთობლივად იღებდნენ, წერს კუკი, მომავალში, თუმცა, კონსულტაციები დარჩება, მაგრამ გადაწყვეტილებებს მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელები მიიღებენ.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის პროგრამა

ფხენიანი, 30 ივნისი. (საკუთ.). კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის დამფუძნებელმა ყრილობამ მიიღო შემდეგი პროგრამა:

მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც გერმანიის ფაშიზმისა და იაპონის იმპერიალიზმის განადგურებით დამთავრდა, გამოიწვია კორეის განთავისუფლება იაპონიის უღლისაგან. კორეელი ხალხისათვის შეიქმნა შესაძლებლობა განეხორციელებინა თვითგამორკვევის უფლება და შეექმნა კორეის ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო.

მოსკოვის შეთანხმება კორეის შესახებ ითვალისწინებდა კორეის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს რაც შეიძლება მალე შექმნას და მოკავშირეების მიერ კორეელი ხალხისათვის ამ მიზნის მიღწევაში დახმარების გაწევას. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წინააღმდეგობის გამო მოსკოვის შეთანხმება არ განხორციელებულა.

ამის შედეგად და მიუხედავად იმისა, რომ კორეის განთავისუფლებიდან უკვე თითქმის ოთხი წელიწადი გავიდა, ჩვენი ქვეყანა კვლავ გაყოფილია ორ ნაწილად. მაშინ როცა ჩრდილოეთ კორეაში გატარებულია დემოკრატიული გარდაქმნანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის გარდაქმნას დემოკრატიულ საფუძვლებზე, კორეაში იაპონის ხანგრძლივი ბატონობის დამლუპველი შედეგების ლიკვიდაციას, ხალხს მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, სამხრეთ კორეაში არაერთგვარი დემოკრატიული გარდაქმნა არ გატარებულა; იქ გამეფებულია დემოკრატიული მოძრაობის სასტიკი დევნისა და ამ მოძრაობის წინააღმდეგ ტერორის რეჟიმი.

საბჭოთა კავშირის წინადადებას კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის თაობაზე, რაც გაკეთებულ იქნა 1948 წლის დამდეგს, და ჩვენი ხალხისათვის ამის შესაძლებლობის მიცემის შესახებ, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები მოკავშირეთა დახმარებისა დამონაწილეობის გარეშე, მხარი დაუჭირა კორეელი ხალხის უმრავლესობამ, ვინაიდან ეს წინადადება შექმნილ ვითარებაში ნიშნავდა კორეის საკითხს ყველაზე მარტივად და სწორად გადაჭრას. მაგრამ ეს წინადადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარყო. ამერიკის მმართველი წრეები ცდილობენ გადაქცევინონ კორეა თავიანთ კოლონიად და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად შორეულ აღმოსავლეთში.

ჩვენი ქვეყნის გათიშვისა და მისი სამხრეთი ნაწილის დამონების პოლიტიკამ, რასაც ახორციელებენ ამერიკელი იმპერიალისტები და მათი დამქაშები სამხრეთ კორეაში, გამოიწვია ფართო სახალხო მოძრაობა ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისა, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის. ამის შედეგად 1948 წლის აგვისტოში ჩატარდა კორეის უმაღლესი სახალხო კრების საყოველთაო არჩევნები. აღნიშნულმა კრებამ მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია და ჩამოაყალიბა რესპუბლიკის კოალიციური მთავრობა. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მხარს უჭერს კორეელი ხალხის დიდი უმრავლესობა.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა და კორეელმა რეაქციონერებმა, რომელნიც კორეას გათიშვის პოლიტიკას ახორციელებენ, სამხრეთ კორეაში შექმნეს მარიონეტული მთავრობა კორეელ რეაქციონერთა და კორეელი ხალხის გამცემთაგან. ეს მთავრობა თავისი ამერიკელი ბატონების კარნახით სამხრეთ კორეაში ახორციელებს დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ რეპრესიებისა და ტერორის პოლიტიკას. სამხრეთ კორეის მარიონეტულ მთავრობას, რომელსაც ხალხში დასაყრდენი არ მოეპოვება, ეშინია, რომ ამერიკის ჯარების დახმარება არ დაკარგოს.

კორეიდან საბჭოთა ჯარების გაყვანა და საბჭოთა კავშირის მიერ კორეელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნებისათვის მუდმივი მხარდაჭერა წარმოადგენს მძლავრ დახმარებას კორეელი ხალხის ბრძოლაში სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების გაყვანისათვის, ჩვენი სამშობლოს ერთიანობისა, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების იმპერიალისტური პოლიტიკა კორეაში და კორეის რეაქციის მიერ ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით სამხრეთ კორეაში შექმნილი ტერორისტული რეჟიმი მიზნად ისახავს კორეელი ხალხის დამონებას, მისი შემოქმედებითი ძალებისა და ნიჭის ჩახშობას. ჩვენი ქვეყნის გათიშვის შემდგომი განხორციელება უდიდეს საფრთხეს უმზადებს კორეელ ხალხს. ამ პირობებში ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტი, სამშობლოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის მიღწევის, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფის, ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის, ნაციონალური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის მიზნით საბაჯს შემდეგ ამოცანებს:

1) ვიბრძოლოთ სამხრეთ კორეიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის კორეიდან გაძევებისათვის, სამშობლოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

2) დავრაზმოთ ხალხის მთელი ძალები ჩვენი ქვეყნის უსწრაფესი გაერთიანებისათვის საბრძოლველად, სამშობლოს მოღალატეთა წინააღმდეგ საბრძოველად, რომელნიც ხელს უშლიან გაერთიანებას.

3) ვიბრძოლოთ იმ დემოკრატიულ გარდაქმნათა განმტკიცებისათვის, რომლებიც განხორციელებულია ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის ტერიტორიაზე.

4) მხარი დავუჭიროთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც შეიქმნა 1948 წლის 25 აგვისტოს საყოველთაო არჩევნების შედეგად, და დავეხმაროთ მას მოღვაწეობაში, რაც მიზნად ისახავს კორეელი ხალხის კეთილდღეობას.

5) ვიბრძოლოთ კორეის მთელ ტერიტორიაზე ფართო დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებლად და მთელი კორეელი ხალხისათვის დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა, მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის, სიტყვის, პრესის, კრებებისა და მიტინგების თავისუფლების, სარწმუნოების თავისუფლების, ორგანიზაციის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

6) ვიბრძოლოთ სამხრეთ კორეაში ხალხის თვითმმართველობის ორგანოების — ამერიკელ იმპერიალისტთა და კორეელ რეაქციონერთა მიერ განადგურებული სახალხო კომიტეტების აღდგენისა და ლეგალიზაციისათვის.

7) ვიბრძოლოთ სამხრეთ კორეაში მიწის რეფორმის განხორციელებისათვის იმ საფუძველზე, რომ მოხდეს იაპონიის სახელმწიფოს, იაპონელი ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი მიწების, აგრეთვე კორეელი ხალხის მოღალატეთა მიწების კონფისკაცია და ეს მიწა უსასყიდლოდ გადავცეს გლეხებს.

8) ვიბრძოლოთ სამხრეთ კორეაში იაპონის სახელმწიფოს, იაპონელი ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სამრეწველო და სავაჭრო საწარმოების, აგრეთვე კორეელი ხალხის მოღალატეთა საწარმოების ნაციონალიზაციის გატარებისათვის.

9) ვიბრძოლოთ სამხრეთ კორეაში დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ დევნასა და ტერორს, ვიბრძოლოთ სამხრეთ კორეის საპყრობილეებში დამწყვდეულ პატიმართა განთავისუფლებისათვის.

10) ხელი შეეწყოთ საბჭოთა კავშირთან, დემოკრატიულ ჩინეთთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

11) ვიბრძოლოთ იაპონიის, როგორც იმპერიალისტური სახელმწიფოს, აღორძინების პოლიტიკის წინააღმდეგ.

ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია აგრესიული ბლოკების შექმნისა და ახალი ომის გაჩაღებისაკენ.

12) ხელი შევეწყოთ ნაციონალური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, კორეელ ხალხში ცოდნის ფართოდ გავრცელებას. ვიბრძოლოთ იაპონური იდეოლოგიის ნაშთების წინააღმდეგ და ყოველი სხვა ანტიდემოკრატიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ნეკროლოგი

ვ. ბ. სიხარულიძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი ვიქტორ ბიჭიას-ძე სიხარულიძე.

ვ. ბ. სიხარულიძე დაიბადა 1888 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ამაღლების ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ

მუშაობს ჩაქვის ჩაის პლანტაციებში, შემდეგ კი ბათუმში შავ მუშად. ამ დროიდან ვ. ბ. სიხარულიძე ებმება რევოლუციურ მოძრაობაში და აქტიურ მონაწილეობას იღებს არალეგალურ მუშაობაში, ბათუმსა და გურიაში ავრცელებს პროკლამაციებს და არალეგალურ ლიტერატურას.

ვ. სიხარულიძე 1912 წელს შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში. 1911-1916 წლებში ის მოსკოვში აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიულ და პროფკავშირულ საქმიანობაში.

საქართველოში მეფშევიკების ბატონობის პერიოდში ვ. სიხარულიძე ენერგიულად ეწევა პარტიულ მუშაობას და ასრულებს ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს. თვითმპყრობელობისა და მენშევიკების მთავრობის მიერ ის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული.

1921 წლიდან ვ. სიხარულიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ, პროფესიულ და საბჭოთა ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იგი იყო პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი, აჭარის იუსტიციის სახალხო კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარი, პარტიის შორაპნის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, მიწათმოქმედების კომისარიატის საგანგებო რწმუნებული, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი ინსტრუქტორი.

1924 წლიდან ვ. სიხარულიძე მუშაობდა სამხედრო უწყებებში, ჯერ ქართული დივიზიის უფროსის, მოადგილედ და შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე. 1927 წლიდან იგი ისევ პარტიულ საპასუხისმგებლო სამუშაოზეა. იყო საქართველოს კ. პ. (ბ) სოფლიდან რაიონის მდივანი, ძანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი. შემდეგ მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, პროფკავშირებში.

ამხ. ვ. ბ. სიხარულიძის სახით პარტიამ და ხელისუფლებამ დაკარგეს ერთგული შვილი, ოჯიელმაც მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება მოახმარა მშრომელთა კეთილდღეობის სამსახურს. მისი სახელი მუდამ დარჩება ამხანაგების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

მწერალთა კლუბში

დღეს, 2 ივლისს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება მწერალთა კლუბში აწყობენ საღამოს ბალზაკის დაბადებიდან 150 წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის გერონტი ქიქოძე. მოხსენებას თემაზე — ბალზაკის ცხოვრება და შემოქმედება — წაიკითხავს მ. კვესელავა. სიტყვებს წარმოთქვამენ დ. შენგელაია და გ. გაჩეჩილაძე.

დასასრულ გაიმართება კონცერტი თბილისის სახელმწიფო თეატრებისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა მონაწილეობით.

დასაწყისი საღამოს 9½ საათზე.

სასამართლო ქრონიკა

ექიმბაშობისათვის მოქალაქე ანა მახმერის ასულ ხარაძეს ახალციხის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 6 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო უფლების აყრა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექცია უახლოეს ხანში გამოუშვებს **ზ. ფალიაშვილის** 3-მოქმედებიან ოპერა **„დაისის“** კლავირს ქართული და რუსული ტექსტით. ტირაჟის განსაზღვრულობის გამო, თეატრის დირექცია იღებს ხელმოწერას ოპერა **„დაისის“** კლავირის შესაძენად. ხელის მოწერა შეუძლიათ: საწარმო-დაწესებულებებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს და ცალკეულ მოქალაქეთ როგორც ნაღდი გადასახადით, ისე გადარიცხვითაც. კლავირის ღირებულებაა 90 მანეთი. ხელის მოწერისას შემოტანილ უნდა იქნას 50 მანეთი თეატრის ბუხჰალტერიაში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:
1. საკვები ბალახების განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
2. ბოსტნეული კულტურების განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
3. ბამბის სელექციის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
4. ტექნიკური კულტურების განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
5. აგროქიმიის და მელიორაციის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.
უფროსი მეცნიერი თანამშრომლები — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი:
1. ბოსტნეული კულტურების განყოფილებაში — 1 ადგილი.
2. ბამბის სელექციის განყოფილებაში — 2 ადგილი.
3. აგროქიმიის განყოფილებაში — 2 ადგილი.
4. მარცვლეული კულტურების განყოფილებაში — 2 ადგილი.
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება შემდეგი საბუთებით:
1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობები სამეცნიერო ხარისხის ან წოდების შესახებ, 4. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება სამუშაოს უკანასკნელი ადგილიდან, 5. სამეცნიერო ნაშრომები და მათი სია, 6. ფოტოსურათი.
კონკურსის ვადაა 15 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადება მიიღება ინსტიტუტის დირექციაში. გარდაბანი (გარდაბნის რაიონი) მემინდვრეობის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომების დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) ა. წ. 12 ივლისს, დღის 11 საათზე, შედგება ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის (ფსიქოლოგიაში) სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ელენე დიმიტრის ასული კეკენაძეს** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მეხსიერების განვითარება სკოლამდელ და დაწყებითი სკოლის ასაკში“.**
ოფიციალური ოპონენტები: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რ. გ. ნათაძე** და პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ა. ს. ფრანგიშვილი.**
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს საბჭოთა ვაჭრობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი აცხადებს, რომ 1949-50 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს საქონელმცოდნეობის, ბუხჰალტერია-ეკონომიკის და ვაჭრობა-ეკონომიკის ფაკულტეტებზე.
ბუხჰალტერია-ეკონომიკის ფაკულტეტი ამზადებს ბუხჰალტერ-ეკონომისტებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, სპბუჯეტო და საკრედიტო ორგანიზაციებისათვის.
თბილისში მცხოვრები სტუდენტებისათვის კვირაში სამჯერ საღამოობით ტარდება ლექციები, ხოლო რაიონში მცხოვრები სტუდენტებისათვის ქ. თბილისში ეწყობა წელიწადში ერთხელ 20-დღიანი საგაზაფხულო ლაბორატორიული საგამოცდო სესია.
ინსტიტუტი კურსდამთავრებულთ ანიჭებს იმავე უფლებებს, რასაც სტაციონარული უმაღლესი სასწავლებელი.
უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით. ყველა დანარჩენი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული აბარებს მ